

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრანტი: ნათია კეკელიძე

მოქალაქეთა ჩართულობა ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში -  
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკის ანალიზი : 2016-2018  
წლები

სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანი მაჭარაშვილი,

სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი,  
ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018

## ანოტაცია

### მოქალაქეთა ჩართულობა ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკის ანალიზი : 2016-2018 წლები

მოქალაქეების უფლება, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი საკითხების მართვაში, დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მთავარი პარადიგმაა. წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში შესაძლებელია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობა ქალაქდაგეგმარების პროცესში, რომლის დროსაც ხელისუფლება ვალდებულია, იქონიოს და განავითაროს საზოგადოებრივი ჩართულობის მექანიზმები. მსოფლიოში მოქალაქეთა ჩართულობის არაერთი წარმატებული მაგალითი არსებობს, თუმცა მუდმივად მიმდინარეობს შემუშავებული მექანიზმების დახვეწა და განვითარება.

კვლევის მიზანია, ახალი სავალდებულო-სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკის ანალიზით დადგინდეს, ის თუ რამდენადაა ქ.თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მისი ინტენსიური დანერგვა ორიენტირებული მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობაზე.

ნაშრომში კვლევის ამოცანაა გაანალიზდეს ქ. თბილისის გამგეობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობა ურბანული დაგეგმარების კუთხით, ამასთანავე, დადგინდეს ის განხორციელებული პროგრამები, რომლებიც ამ საბჭოების მიერ იქნა ინიცირებული. საბოლოოდ, ერთიანი სურათის მიღების მიზნით, მოცემული იქნება ,როგორც საბჭოს წევრების, ისე მოქალაქეთა პოზიციები და შეხედულებები საბჭოს საქმიანობის შესახებ. ასევე ერთ-ერთი ამოცანაა ელექტრონული კითხვარის გამოყენების საშუალებით მოქალაქეების ინფორმირებულობის შემოწმება.

ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის თავისებურებების შესწავლა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის გამოყენების მაგალითზე, ხოლო კვლევის ობიექტია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, ქალაქ თბილისის ათივე გამგეობა, ქ. თბილისში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ჩაერთვებიან ელექტრონული კითხვარის შევსების პროცესში. კვლევის

შედეგად გამოვლინდა, რომ თბილისის ათი გამგეობიდან რეალურად საბჭო მხოლოდ 6 გამგეობაში ფუნქციონირებს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ საინფორმაციო ღონისძიებებს გამგეობები საკუთარ ტერიტორიულ ერთეულში ძირითადად საჯარო განხილვებითა და საინფორმაციო ბუკლეტების დარიგებით ახორციელებს. გამგეობების ნაწილში,სადაც აქტიური საკომუნიკაციო ღონისძიებები ტარდება საბჭოს წევრთა და მოქალაქეთა დასწრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომებსა თუ საჯარო განხილვებში მაღალია. გამგეობების ნაწილში მოქალაქეების მხრიდან ყველაზე მეტად ინფრასტრუქტურული ინიციატივები მუშავდება, რომელთა ნაწილს ითვალისწინებს გამგეობა, ნაწილზე კი უარს აცხადებს და მიზეზად, გამგეობის მცირე ბიუჯეტს ასახელებს.

ქ. თბილისის მოსახლეობის ინფორმირებულობის კვლევის შედეგად დადგინდა,რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა არ იცის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს არსებობის შესახებ, თუმცა გამოთქვამს მზად ყოფნას,რომ გახდეს მისი წევრი და ჩაერთოს აქტიურად ქალაქდაგეგმარებაში.

რაც უფრო ინტენსიურად არის დანერგილი გამგეობებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმი, მით მეტია მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობა, ვინაიდან, საბჭოს ფუნქციონირების პარალელურად, მისი წევრები აქტიურად ერთვებიან სხდომების მიმდინარეობაში და ხელისუფლების მხრიდანაც მეტია ანგარიშვალდებულება.

### **Annotation**

**Citizens Involvement in Tbilisi Urban Planning – Analysis of Civic Advisory Committees Practice :**

**2016-2018 years**

The right of citizens to participate in the management of public affairs is one of the main paradigms of democratic governance. In the case of representative democracy, various stakeholders may be involved in urban planning, during which the government is obliged to maintain and develop mechanisms for public participation. There are many successful examples of citizen participation in the world, but the improvement of elaborated mechanisms are continually underway.

The goal of the research is to determine the new compulsory-advisory body - Practice analysis of the Civil Advisory Committees, as to what extent the intensive introduction of urban planning in Tbilisi is based on the efficiency of citizens' engagement.

The task of research in the work is to analyze The Board of Civil Advisors of the Board of Governors in the field of urban planning, as well as the programs implemented by these councils, have been established. Finally, in order to obtain a single picture, it will be given the position of the Council members and the citizens and views of the Council. One of the tasks is to check citizens' awareness through the use of an electronic questionnaire.

The study is the subject of research. Study of peculiarities of citizen involvement in urban planning on the example of the use of civil advisory board mechanism and the research center is the Civic Advisory Board, all ten Tbilisi Municipality Board Citizens residing in Tbilisi who will be involved in filling the electronic questionnaire. As a result of the research, it has been revealed that from the ten municipalities of Tbilisi, the Board functions only in 6 district. The Board of Directors of the Civil Advisory committees carries out its own territorial unit mainly through the delivery of public discussions and information booklets. In the parts of the district where active communications activities are conducted, the Council members and attendees are high in the civil advisory council meetings or public hearings. Infrastructural initiatives are being worked out by the citizens in the part of the district administration, part of which is the board, but refuses to part and the reason is a small budget of the district.

As a result of the research awareness survey of Tbilisi population, more than half of the respondents do not know about the existence of the Civil Advisory Committees, but are ready to be ready to become its member and engage in actively urban planning.

The more intensely implemented the Civil Advisory Committees mechanism in the local governments, the greater the effectiveness of citizens' involvement, since, in parallel with the functioning of the council, its members are actively involved in the sessions and more accountable from the government.

## სარჩევი :

შესავალი .....	6
თავი I . მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკა საქართველოში - ადგილობრივი თვითმმართველობა და ურბანული დაგეგმარება.....	39
საკანონმდებლო და ისტორიული მიმოხილვა .....	39
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის დანერგვამდე არსებული მდგომარეობა საქართველოში .....	41

თავი II. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო .....	44
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის დანერგვა საქართველოში .....	44
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმატებული მაგალითები : საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა .....	46
თავი III. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკის ანალიზი ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში - 2016-2018 წლები .....	50
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობა .....	56
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობა .....	64
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისანის რაიონის გამგეობა .....	68
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა .....	68
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა .....	72
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა .....	76
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა .....	77
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის, სამგორის, ნაძალადევის რაიონის გამგეობები	79
დასკვნა .....	84
რეკომენდაციები .....	84
გამოყენებული ლიტერატურა : .....	85

## შესავალი

მსოფლიო მოსახლეობის 55% ქალაქებში ცხოვრობს, გაეროს მონაცემების თანახმად, 2050 წლისთვის ეს რიცხვი 68% გახდება (United Nations, 2018). ურბანიზაციის პროცესის დაჩქარებამ საზოგადოება სატრანსპორტო სისტემის, ინფრასტრუქტურის, სამუშაო ადგილების ნაკლებობის, სერვისების გაუმჯობესებისა და სხვა მნიშვნელოვანი

გამოწვევების წინაშე დააყენა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს რომ ურბანიზაციის პროცესს არ ძალუძს იყოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა. ამის მიიღწევა კი ინოვაციების, განსხვავებული იდეების, შეხედულებების გაერთიანებითა და მათგან საუკეთესოს იმპლემენტაციითაა შესაძლებელი.

დღეს ხშირად გამოიყენებენ ისეთ „ქოლგა“ ტერმინს, როგორც არის თანამონაწილეობითი დაგეგმარება (participatory planning). ამ ტერმინის შიგნით, როგორც აქტორები, ერთიანდებიან საჯ და კერძო სექტორის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ინტერესთა ჯგუფები და რაც მთავარია სამოქალაქო საზოგადოება. თითოეული აქტორი თანამონაწილეობითი დაგეგმარების პროცესში ახდენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას, ამას ისინი საკუთარი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების ინიცირებით აღწევენ. ხშირად, ძლიერი აქტორების მიღმა იკარგება მოქალაქეების ხმა, მათი საჭიროებები და სურვილები.

მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს საქმეების წარმართვაში, დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. მოქალაქეთა თანამონაწილეობის უფლების გამოხატვა ყველაზე ეფექტურად ადგილობრივ დონეზე ხდება. ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორის, მირაფტაბის თქმით, თანამონაწილეობითი დაგეგმარებაზე საუბრისას, უნდა მოვახდინოთ სხვადასხვა აქტორის იდენტიფიცირება (იქამდე სანამ მათ ერთ მექანიზმში გავაერთიანებთ), ვინაიდან ეს აქტორები ჰეტეროგენულნი არიან და ისინი შინაარსობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისგან (MirafTAB, 2014).

დღეს, სამეცნიერო წრეებში არსებობს დისკუსია იმის შესახებ, რომ ურბანულმა დაგეგმარებამ თანამედროვე ერაში ჰიბრიდული სახე მიიღო. თუ საუკუნეების წინ, ქალაქდაგეგმარების შესახებ გადაწყვეტილებებს მხოლოდ საჯარო სექტორი იღებდა, დღეს უკვე ამ პროცესში ჩართულნი არიან ექსპერტები, საზოგადოებრივი აზრის ლიდერები, პოლიტიკური ლიდერები, ე.წ „გრას-რუტ“ მოძრაობები (grass-roots) და სხვადასხვა ღირებულების ინტერესთა ჯგუფები. ამდენად, გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის

უფრო მეტად გართულდა აქტორებს შორის ბალანსის შენარჩუნება (Sehested, 2009). მხოლოდ მათი სწორად იდენტიფიცირების შემდეგაა შესაძლებელი, ადგილობრივ დონეზე წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად და ამ პრობლემების გადაწყვეტაში სხვადასხვა აქტორებთან ერთად მოქალაქეთა აქტიურად მოზიდვისათვის განსხვავებული მექანიზმების მოძიება და გამოყენება.

ურბანული დაგეგმარება ქალაქებისა და მათი უბნების ფიზიკური და სოციალური განვითარების მართვის ფორმალური პროცესია. ამ პროცესში სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელი ჯგუფები ყოველთვის მზად არიან იბრძოლონ საკუთარი სარგებლის, ინტერესების, საჭიროებებისა და შესაბამისი ცვლილების განსახორციელებლად. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ურბანული დაგეგმვა და დასახლების კეთილმოწყობის პროექტების განხორციელება მხოლოდ სპეციალისტების შეხედულებების გათვალისწინებით ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. თუმცა ამ პირობებში, როგორც საზოგადოების მხრიდან, ისე სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მხრიდან მიიღოს სახელმწიფომ ნეგატიური დამოკიდებულება. ურბანული დაგეგმარების პარადიგმა - თანამონაწილეობითი დაგეგმვა, იძლევა საშუალებას ურბანული დაგეგმვის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის შეხედულებების შეთანხმებას, მუნიციპალიტეტში დაპირისპირებისა და კონფლიქტების პრევენციას.

ჩართულობის ხარისხისა და ეფექტურობის გაზრდას სხვადასხვა მექანიზმების ფორმირებით ცდილობენ. შესაძლოა, მექანიზმი თავისი მიზნებით, სტრუქტურითა და შინაარსით ხარისხისა და ეფექტურობის ზრდისკენ იყოს მიმართული, თუმცა შედეგი განსხვავებული იყოს. ეს ყოველივე სხვადასხვა მიზეზებითაა განპირობებული.

**თეორიული ჩარჩო :**

წინამდებარე კვლევა, რომელიც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დანერგვის პრაქტიკის ანალიზზე იკვლევს მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობის ზრდას, ეყრდნობა პ. საბატის „მხარდამჭერი კოალიციების“ მოდელს (Advocacy Coalition Framework of Public

Polycymaking) და გვთავაზობს „4P“ (Public Private People Partnerships) ახალი და ინოვაციური თეორიის მიხედვით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სიტუაციის ანალიზს.

ერთი მხრივ, საბატიეს „მხარდამჭერი კოალიციების“ მოდელი აღწერს სხვადასხვა აქტორის გაერთიანების პროცესს (მათ ერთ კოალიციად ჩამოყალიბებას ჩართულობის პროცესში) და საკუთარი მოთხოვნებისა და საჭიროებების შეტანას დღის წესრიგში. მოდელი აღწერს სხვადასხვა კოალიციების ეფექტიანობას ჩართულობის პროცესში, როდესაც ისინი ან ასტაბილურებენ პოლიტიკურ გარემოს, ან სერიოზული ცვლილებების მომტანი არიან.

მეორე მხრივ, „4P“ (Public Private People Partnerships) -ის ახალი და ინოვაციური თეორია გვთავაზობს, საბატიეს „მხარდამჭერი კოალიციების“ მოდელთან ერთად უშუალოდ მოქალაქეთა ჩართულობის ცალკეულ პარადიგმას. ეს თეორია გარკვეულწილად წარმოადგენს საბატიეს „მხარდამჭერი კოალიციების“ თეორიაში იმ არსებული „ორმოების“ შევსებას, სადაც შესაძლოა ჩართულობის პროცესში დაკარგული იყოს მოქალაქეთა ხმა. თეორია მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობისა და ხარისხის ზრდის მთავარ საშუალებად ქალაქდაგეგმარების პროცესში მოქალაქეების, როგორც ცალკეული აქტორების სავალდებულო ჩართვას ეფუძნება.

შედეგიანი თანამონაწილეობითი დაგეგმარებისთვის საჭიროა შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდას ქალაქდაგეგმარებაში. თუმცა ინკლუზიურობა განვითარებული სახელმწიფოებისთვისაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

პ. საბატიეს „მხარდამჭერი კოალიციების“ კონცეფცია წარმოადგენს მოდელს, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალაქდაგეგმარების ინკლუზიურობას, ჩართულობის ეფექტიანობას და ხარისხის ზრდას. ეს კონცეფცია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სხვადასხვა თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის გაერთიანებას გვთავაზობს (Shafritz, 2004). “მხარდამჭერი კოალიციების” მონაწილეთა კონსოლიდაციისათვის საჭიროა, რომ მათ ჰქონდეთ საერთო მიზნები და წინასწარგანსაზღვრული “რწმენები”. ”მხარდამჭერი

კოალიცია” - წარმოადგენს აქტორების ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ მსგავსი საბაზისო ფასეულობები, ამა თუ იმ პრობლემის საერთო ხედვა და აღქმა. მათ მთავარ მიზანს შეადგენს მათთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება ან წინ წაწევა (Shafritz, 2004).

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებში ასეთ კოალიციებად შესაძლოა ჩაითვალოს : ბიზნეს სექტორი, აქ შესაძლოა კერძო სექტორი ერთ კოალიციად ჩამოყალიბდეს, ან საკუთარი ბიზნეს ინტერესებისგან გამომდინარე ცალკეულ კოალიციებად; საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კერძო პირების კოალიციები, აგრეთვე მეწარმე იურიდიული პირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები, რომლებიც ერთიანდებიან კოალიციებად საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაძლოა სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე კოალიცია შეიქმნას. საბატიესთან ჩანს, რომ ერთ სექტორს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე კოალიციად გაერთიანდეს, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმი კი იძლევა საშუალებას, მოქალაქეებისგან არა ერთი, არამედ საბჭოში შექმნილი მოქალაქეთა რამდენიმე კოალიციისგან მიიღოს / მოისმინოს საკონსულტაციოდ სხვადასხვა ინიციატივა.

საბატიე ცდილობს პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის მთლიან მოდელში გააერთიანოს საკმაოდ განსხვავებული კომპონენტები: აქტორული (პროცესის მონაწილეთა ქსელი სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ სფეროში); ფაქტორული (სოციალური, ეკონომიკური და სხვა გარეგანი ფაქტორების ზემოქმედება); ნორმატიულ-ინსტიტუციური (პოლიტიკური ინსტიტუტები და ნორმები); კოგნიტური (რწმენები, შეხედულებები, ფასეულობები) და სისტემური (მმართველობითი სისტემის და სხვა დარგობრივი პოლიტიკის სუბ-სისტემების გავლენა (Margvelashvili, 2016)).

კონცეფციაში “პოლიტიკურ-მმართველობითი ქვესისტემა” (policy subsystem) შედგება რამდენიმე “მხარდამჭერი კოალიციისაგან”, რომლებიც, თავის მხრივ, შედგება პოლიტიკური გადაწყვეტილებების წინ წასაწევად მებრძოლი საჯარო და არასაჯარო აქტორების ერთობლიობისაგან. ეს “მხარდამჭერი კოალიციები” ერთმანეთისაგან

განსხვავდებიან ფასეულობითა და რწმენით, მიზნებითა და სტრატეგიებით, პოზიციებითა და რესურსებით. საბატიე ასევე გამოყოფს ე.წ. “პოლიტიკურ-მმართველობით ბროკერებს”, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენციაში მყოფ კოალიციებს შორის მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების ხელის შეწყობას, მათთვის გარკვეული ინფორმაციების მიწოდებას.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მაგალითზე, მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობის გასაზრდელად მექანიზმი იძლევა ასეთი “პოლიტიკურ-მმართველობითი ბროკერების” ჩართვის შესაძლებლობას. რაში გამოიხატება ეს ? - ბუნებრივია, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრების უნარი და კომპეტენცია განსხვავებული იქნება, გამომდინარე მათი პროფესიული თუ პირადი გამოცდილებიდან, მაგრამ შესაძლებელია მათი გაუმჯობესება იმ დონემდე, რომ წარმატებით შეძლონ მრჩეველთა საბჭოს წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა, მაგალითისთვის, ბიუჯეტის წინასწარი განხილვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების ( არა როგორც აქტორი, არამედ როგორც ბროკერის როლში) მიერ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების მხარდაჭერას, მათთვის საჭირო ტრენინგების ჩატარებას, გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობების შექმნას სხვადასხვა მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებს შორის.

ასეთ ბროკერულ ჯგუფებად შეგვიძლია განვიხილოთ სათემო ორგანიზაციები, მედია, აქტიური მოქალაქეები. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ პროცესში ინფორმაციის გავრცელების, თემის მობილიზების, მოსახლეობის აზრის შესწავლის, იდეების გენერირების კუთხით.

საბატიე გამოყოფს “რწმენების” იერარქიულ სტრუქტურას, რომელსაც ეფუძნება ესა თუ ის პოლიტიკურ-მმართველობითი კოალიცია. პირველი ეს გახლავთ, “სიღრმისეული რწმენის/ფასეულობების სისტემა”, რომელიც შედგება ფუნდამენტური ფასეულობებისაგან და მყარი ნორმებისაგან და მეორე ეს არის უკვე კონკრეტული ფასეულობებისგან შემდგარი კოალიციები , რომელთაც აქვთ “პოლიტიკურ-მმართველობითი სუბ-სისტემისათვის ძირეულ ფასეულობები“.

მაგალითისთვის, ქალაქდაგეგმარებაში შესაძლოა კერძო სექტორისთვის ყოველთვის ეკონომიკური ბენეფიტები იყოს მთავარი, მწვანე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ეკოლოგიური უსაფრთხოება, ხოლო მოქალაქეებისთვის კომფორტული საცხოვრებელი გარემო. შესაბამისად, ამ ზოგადი ფასეულობების საფუძველზე გაერთიანებული კოალიციები შედარებითი სიმყარით გამოირჩევა.

მხარდამჭერი კოალიციების მოდელის ავტორებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს სწორედ ამ “პოლიტიკურ-მმართველობითი სუბ-სისტემისათვის ძირეულ ფასეულობებს”. სწორედ ამ ე.წ. „პოლიტიკის ძირითადი ფასეულობების“ გარშემო ხდება კოალიციების ფორმირება (Margvelashvili, 2016). ამ კონცეფციაში არსებობს “მეორადი ასპექტები”, ე.წ. მეორადი ფასეულობები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება “რწმენა” - წარმოდგენილი საკუთარი გამოცდილებისგან. კონცეფციაში ჩანს ”პოლიტიკაზე ორიენტირებული სწავლების” ცნებაც, რომელშიც იგულისხმება ზოგიერთი ნორმის (დოგმის) და სტერეოტიპის ცვალებადობის პროცესი მათი შეპირისპირების შედეგად მიღებული პრაქტიკული გამოცდილებით. ურბანულ ქალაქდაგეგმარებაში მეორეული ფასეულობებისა და ცვალებადობის პროცესი აქტორებს შორის ნაცნობი პროცესია.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმი პლატფორმიდან გამომდინარე იძლევა საშუალებას, რომ ნაცნობი იყოს ყველა აქტორისთვის პირველადი ფასეულობა და საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ ამ მეორეული ფასეულობების ცვალებადობით მოხდეს მიღებული. მაგალითად, შესაძლებელია კერძო სექტორი გარკვეულ დათმობაზე წავიდეს და მწვანე ინიციატივების ლობირება დაიწყოს. მოქალაქეებისთვის ამ პირობებში უფრო მარტივდება საკუთარი მოთხოვნებისა და ინტერესების დიდი რაოდენობით მიწოდება დღის წესრიგისთვის, ვინაიდან შესაძლოა ეს მოთხოვნები, როგორც მოქალაქეებისგან, ისე სხვადასხვა აქტორების მხრიდან იქნას შეტანილი.

საბატი ასევე გამოყოფს მხარდაამჭერ კოალიციებში ორ ჯგუფს: “შედარებით სტაბილური პარამეტრები”( ასტაბილურებენ) და “გარე სისტემური მოვლენები” (იწვევენ ცვლილებებს გადაწყვეტილების მიღებისას) ჯგუფებს (Shafritz, 2004).

მოქალაქეთა ჩართულობის არაეფექტიანობის ერთ-ერთი და მთავარი ნიშანი სწორედ მოქალაქეთა საჭიროებებისა და ინიციატივების განუხორციელებლობაა. ხშირად მექანიზმები, მხოლოდ ფორმალურ ფუნქციას ასრულებენ, არ ჩანს მოქალაქეთა ხმა და დომინირებს კონკრეტული აქტორი. ამ პროცესში გარკვეულწილად მექანიზმი სისტემისთვის სტაბილურობის გარანტიად წარმოგვიდგება და რეალურ ცვლილებებს არ გვთავაზობს.

სინამდვილეში, მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის პროცესი, საბატიესთან შესაძლოა დავეუკავშიროთ „გარე სისტემური მოვლენების“ ჯგუფს, როცა მოქალაქეებისა და სხვადასხვა აქტორების ინტერესების გათვალისწინებით შესაძლოა რეალური და ხელშესახები ცვლილებები განხორციელდეს.

გამგებელი არ უნდა უფრთხოდეს მრჩეველთა საბჭოში საწინააღმდეგო აზრის მქონე აქტიურ მოქალაქეთა შეყვანას, რომლებიც ხშირად კრიტიკულად არიან განწყობილი ხელისუფლების ქმედებების მიმართ. უსაფუძვლო კრიტიკა ხშირად მათი არასრული ინფორმირებულობის შედეგია, ხოლო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში შესაძლებელია ამ აქტიური მოქალაქეებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება, უშუალოდ მუნიციპალიტეტის პირველი პირის მიერ იმის ახსნა, თუ რატომ ვერ ხორციელდება ესა თუ ის პროექტი. ეს მათთან კომუნიკაციის უფრო ეფექტური გზაა, ვიდრე საჯარო პოლემიკა (აბულაძე, 2016).

ძირითადი კრიტიკა საბატიეს „მხარდამჭერი კოალიციების“ მოდელის ირგვლივ ეხება მოქალაქეთა ინიციატივების პოლიტიკურ დღის წესრიგში გადასროლის პრობლემას. იგი გარკვეულწილად იძლევა სხვადასხვა აქტორების ჩართულობის მიმდებლობის შესაძლებლობას. კონცეფცია ახდენს აქტორების კოალიციებად შეკვრის პროცედურის ილუსტრირებას, თუმცა „გვამზადებს“, რომ შესაძლოა ამ კოალიციებიდან მხოლოდ ერთი იყოს გამარჯვებული.

საბატიესთან ერთად ბალტიკის ურბანული ლაბორატორია (Baltic Urban Lab) გვთავაზობს მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ახალ კონცეფციას. ეს კონცეფცია ყველასთვის ნაცნობ საჯარო-კერძო პარტნიორობის (3P) პარადიგმას ეფუძნება.

მთავრობების მნიშვნელოვანი გამოწვევაა მწირი საზოგადოებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენება და მთავრობების უმრავლესობა ამ მიზანს ვერ აღწევს (Asian Development Bank, 2015). საჯარო სექტორს, როგორც წესი, არ აქვს საკმარისი მოტივაცია, რომ გააუმჯობესოს მისი ორგანიზაციის და პროცესების ეფექტურობა, შესაბამისად, ის ინფრასტრუქტურის ეფექტიანი მშენებლობის და ოპერირებისთვის არახელსაყრელ მდგომარეობაშია. სწორედ ამიტომ დადგა საჯაროსა და კერძოს პარტნიორობის საკითხი დღის წესრიგში. ყველასთვის ნაცნობი 3 P (Public Private Partnership) –ის მიმართ ინტერესი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გაჩნდა.

ძლიერი საჯარო-კერძო პარტნიორობა ქალაქდაგეგმარების პროცესში ოპტიმალურად ანაწილებს დავალებებს, ვალდებულებებს და რისკებს. საჯარო-კერძო პარტნიორობაში საჯარო პარტნიორებს წარმოადგენენ სამთავრობო სუბიექტები, მათ შორის, სამინისტროები, დეპარტამენტები, მუნიციპალიტეტები ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოები. კერძო პარტნიორებს კი, როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო კერძო კომპანიები. 3 P ეფექტურია მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს, ვინაიდან იგი არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობას ზრდის.

4P-ს თეორია სწორედ 3P-ს თეორიის კრიტიკიდან აღმოცენდა (Perjo, Fredricsson, & Costa, 2016). 4P(Public-Private-People-Partnership) თეორიისთვის მთავარი გამოწვევა გადაწყვეტილებების მიღების ინკლუზიურობაა. საჯარო - კერძოს პარტნიორობის კონცეფციაში „ხალხის“ დამატებით ავტორები - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის როლის გაზრდაზე აქცენტირებენ. მთავარი განსხვავება 3P და 4P კონცეფციაში არის ის, რომ თუ პირველ მათგანში კერძო და საჯარო სექტორი საუკეთესო შემთხვევაში საზოგადოებასთან ცალ-ცალკე ატარებდა კონსულტაციას კონკრეტული გადაწყვეტილების

მიღებამდე და ხალხის მოთხოვნა შესაძლოა დაგეგმივიდან იმპლემენტაციამდე რომელიმე ეტაპზე დაკარგულიყო, 4P კონცეფციაში კერძო, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოება ერთობლივად მსჯელობს და აქ, ნაკლებია იმის შანსი, რომ მოქალაქეთა ინტერესები არ ჩანდეს (Perjo, Fredricsson, & Costa, 2016). 4P მაქსიმალურად რთავს ყველა ინტერესთა ჯგუფს ქალაქდაგეგმარების პროცესში (Baltic Urban Lab, 2016).

ამ კონცეფციის უკეთესად გასააზრებლად, საჭიროა განვმარტოთ, პირველ რიგში, ის თუ ვინ არის საჯარო სექტორი (Public). საჯარო სექტორს მნიშვნელოვანი როლი აქვს ქალაქდაგეგმარების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის გაზრდისთვის, მათ უნდა შესთავაზონ მოქალაქეებს გამჭირვალე და ეფექტური მექანიზმები. ეს სექტორი კერძო და სამოქალაქო სექტორთან შედარებით უფრო ჰეტეროგენურია.

კერძო სექტორი (Private) ქალაქდაგეგმარების პროცესში სხვადასხვა მიზნებისთვის ერთვება. მან შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში დიდი პრინციპულობა გამოიჩინოს, ზოგჯერ კი, სერიოზულ დათმობებზე წავიდეს. კერძო სექტორში შესაძლოა ვიგულისხმოთ ბიზნეს კორპორაციები, მცირე და საშუალო ბიზნესი, მიწის მფლობელები, ბიზნესმენთა გაერთიანებები, “დეველოპერი გამყიდველები” (Developer sellers) და „დეველოპერი ინვესტორები“ (Developer investors), რომელთაც კომუნიკაცია აქვთ მეიჯარეებთან და ა.შ.

რაც შეეხება *ხალხს* (People) აქ კონცეფცია მოიაზრებს მთლიან მოქალაქეებს, საზოგადოებას (General Public), მოქალაქეებს სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს (Local community), ე.წ. „ლენდ იუზერებს“, არასამთავრობო ორგანიზაციებს (NGOs), სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს.

ტრადიციულად, თანამონაწილეობითი დაგეგმარების მთავარი კრიტიკა სწორედ მოქალაქეების აზრის გაუთვალისწინებლობაა გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპებზე. ეს ეტაპი პირველ რიგში არის დაგეგმვა. დაგეგმვის ეტაპზე მოქალაქეთა ჩართულობა ამ თეორიაში განხილულია ჩართულობის ეფექტიანობის მთავარ საზომად, ვინაიდან დაგეგმვის პროცესი მოქალაქეების ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით ხორციელდება (Kuronen, Junnila, Majamaa, & Niiranen, 2010).

Gustafson და Hertting (2016) ახდენენ სამი სხვადასხვაგვარად მოტივირებული ჯგუფის ჩართვას ქალაქდაგეგმარებაში შვედეთის მაგალითზე. ზოგიერთი ადამიანი ქალაქდაგეგმარების დისკუსიებში ერთვება საერთო კეთილდღეობისთვის, იმ მიზნით რომ გააუმჯობესოს საერთო საცხოვრებელი გარემო. მეორე კატეგორია საკუთარი ინტერესებით მოტივირებული მოქალაქეები, რომლებიც იბრძვიან საკუთარი ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ამ ჯგუფად შეიძლება აღვიქვათ მარგინალური ჯგუფებიც, რომლებიც საკუთარი ოჯახების ან კონკრეტული უმცირესობების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის იბრძვიან. მესამე კატეგორია არის ე.წ „პროფესიონალები“ (Professional Competence), აქ არიან გაერთიანებული ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობენ, არიან ექსპერტები, არ გააჩნიათ პირადი მოტივები მონაწილეობისთვის (Gustafson & Hertting, 2016).

მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობისა და ხარისხის გაზრდის ერთ-ერთი პირობა სწორედ ამ კატეგორიების იდენტიფიცირებაა გამგეობების მხრიდან. აუცილებლად უნდა იცოდეს ხელისუფლება თუ რატომ ერთვება ხალხი ქალაქდაგეგმარებაში. ამ მოდელის მთავარი ნაკლოვანება და გამოწვევა ხელისუფლების მხრიდან გადაწყვეტილებების მიღებაა, ისე რომ მრავალი აქტორის საჭიროებები და მოთხოვნები იქნას გათვალისწინებული. თუმცა კონცეფციაში გამოსავალს გვთავაზობს - ურბანულ დაგეგმარებაში ხალხის დამატებით (add-on) მარტივდება პროცესი, ვინაიდან გადაწყვეტილება სწორედ მოქალაქეების საჭიროებებზე უნდა იყოს დაფუძნებული (Perjo, Fredricsson, & Costa, 2016).

ეს თეორია ასევე იძლევა საშუალებას ჩართულობით მექანიზმებში გავზომოთ მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხი და ეფექტიანობა, რადგან აქ უკეთ ჩანს კონკრეტულად მოქალაქეების ინიციატივებისა და ხელისუფლების მხრიდან გათვალისწინებული რეკომენდაციები (განსხვავებით კერძო და საჯარო სექტორის პარტნიორობისგან, რადგან როგორც უკვე აღინიშნა ამ პროცესში აღრეულია ან დაკარგულია მოქალაქეთა

საჭიროებები). ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა მოქალაქეების, როგორც ცალკეული აქტორის, ცალკეული ჯგუფის შესწავლა ქალაქდაგეგმარებაში.

ამდენად, როგორც უკვე დავინახეთ, 4P კონცეფციის მთავარი არსი მოქალაქეები არიან, თეორია გვთავაზობს შევქმნათ ისეთი მოქალაქეთა ჩართულობაზე ორიენტირებული მექანიზმი, რომელიც ღიაა სხვა ყველა აქტორებისთვის. აქ მთავარი სიტყვები სწორედ „მოქალაქეთა ჩართულობაზე ორიენტირებული მექანიზმი“ და არა „ჩართულობაზე ორიენტირებული მექანიზმი“ (Kalbro, Lindgren, & Paulsson, 2015). საჯარო სექტორის როლი ამ კონცეფციაში დანახულია, როგორც ფასილიტატორი, რომელიც მოახდენს იდეების გენერირებას და ყველა ეტაპს შეათანხმებს მექანიზმში ჩართულ აქტორებთან (Gustafson & Hertting, 2016).

მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტიანობასა და ხარისხის ზრდას შესაძლოა ხელი შეუშალოს, როგორც არასწორმა კომუნიკაციამ საზოგადოებასთან, ისე იმ აქტორებმა, რომელთა ერთადეც ჩაერთვება სამოქალაქო საზოგადოება ქალაქდაგეგმარების პროცესში. ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვა სწორედ საბატიეს „მხარდამჭერი კოალიციების მოდელისა“ და 4P კონცეფციის მიხედვით, მოქალაქეების ინფორმირებულობას, სახელმწიფოს სხვადასხვა მცდელობებს - ჩართოს მოქალაქეები კონკრეტულ მექანიზმში და ჩართულ განსხვავებულ აქტორებს შეეხება, რომლებიც ახდენენ ზეგავლენას ჩართულობის ხარისხსა და ეფექტიანობაზე.

### **კვლევის აქტუალობა :**

მსოფლიოში მოქალაქეთა ჩართულობის არაერთი წარმატებული მაგალითი არსებობს, თუმცა მუდმივად მიმდინარეობს შემუშავებული მექანიზმების დახვეწა და განვითარება. მიუხედავად არსებული წარმატებული მაგალითებისა, შეუძლებელია ერთიანი ფორმულის შემუშავება, ვერ გამოვყოფთ ერთ კონკრეტულ მიდგომას ან მექანიზმს, რომელიც ყველაზე ძლიერი აღმოჩნდება. ამის მიზეზი ისაა, რომ მოქალაქეთა ჩართულობა მთლიანად დამოკიდებულია ამა თუ იმ საზოგადოების თავისებურებებზე.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის გაძლიერება საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, 2015). საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებაა, აქტიურად იყოს ჩართული გადაწყვეტილებისმიღების პროცესში, რაც გარანტირებულია საქართველო კონსტიტუციის მე-5 მუხლით, სადაც წერია, რომ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი (პუნქტი 1) და თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით (პუნქტი 2) (საქართველოს კონსტიტუცია, 1995).

მსოფლიო სამართლის პროექტის“ (World Justice Project) 2015 წლის ღია მმართველობის საერთაშორისო ინდექსის კვლევისას საქართველოში გამოკითხულთა 83%-ს ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის პროცესში ბარიერები არ აქვს. თუმცა, მნიშვნელოვნად დაბალი, 32%-ია იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ადგილობრივ იხელისუფლების წარმომადგენლები გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოებასთან კონსულტაციას ეფექტურად ახორციელებენ (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2015).

ამასთანავე, საკითხს მეტ აქტუალობას ის სძენს რომ , World Justice Project -ის კვლევისგან განსხვავებით, 2015 წელს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) თბილისის ოფისის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას (მერი/გამგებელი, საკრებულოს წევრები, გუბერნატორი) შორის კომუნიკაცია მინიმალურია: 2014 წლის არჩევნების შემდეგ, საკრებულოს წარმომადგენელი დაკავშირება გამოკითხულთა 6%-ს, მერიის წარმომადგენელი – 3%-ს, გუბერნატორის წარმომადგენელი კი მხოლოდ 1%-ს. მოქალაქეების ინფორმირებულობა თვითმმართველი ორგანოების საქმიანობის შესახებ, ასევე ძალიან დაბალია: მოსახლეობის დაახლოებით 60% ამბობს, რომ “საერთოდ არაფერი იცის” მათი საქმიანობის შესახებ, 83%-მა კი ვერ შეძლო დაესახელებინა მისი საკრებულოს მაჟორიტარი (ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი(NDI), 2015).

შესაბამისად, შესაძლოა წარმოიშვას ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხისა და ეფექტურობის პრობლემები. სახელმწიფოში ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა არის. სახელმწიფოში ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა არის სახელისუფლებო უფლებამოსილებების განხორციელების დაახლოება ინდივიდთან (სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2015) ეს შესაძლებელია ადგილობრივ საკითხების გადაწყვეტაში მოსახლეობის აქტიური ჩაბმით მუნიციპალური ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის უზრუნველყოფით. ადგილობრივი თვითმმართველობაში საზოგადოების ჩართულობის მრავალ ასპექტს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და კომპლექსური ურბანული დაგეგმარებაა. ქალაქების ურბანულ დაგეგმარების პროცესში თანამონაწილეობის სხვადასხვა მექანიზმი გამოიყენება.

არსებული ნაკლოვანებებისა და სხვა პრობლემების დაძლევისთვის 2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შევიდა ცვლილები, რომლებიც მუნიციპალიტეტს/მერიას/გამგეობას ავალდებულებს გამოიყენოს მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი დამატებითი ფორმა - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. ახალი მექანიზმის შექმნის პარალელურად, „კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის“ (CTC), „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“ (IDFI) და „მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის“ (MSDC) ერთობლივი ძალისხმევით 2017 წელს შეიქმნა „ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი“.

ინდექსის მიხედვით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში 18 მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა საერთოდ არ გამართულა. შესაბამისად, ეს მუნიციპალიტეტები პროაქტიულად ვერ განათავსებდნენ საბჭოს სხდომების ოქმებსაც, დანარჩენი 53 მუნიციპალიტეტიდან სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმების ვებგვერდზე განათავსების პრაქტიკა ფიქსირდება მხოლოდ 8 მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - რუსთავი, ჩხოროწყუ, გორი, თეთრიწყარო, ახალციხე, დმანისი, ახმეტა, აბაშა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2017)

ეს საკითხი თანთადან განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს და ვინაიდან, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ახალი დანერგილი სათათბირო-სავალდებულო ორგანოა, ქალაქ თბილისში ამ ორგანოს ფუნქციონირების შესახებ კვლევა ჯერ არ ჩატარებულა, ამიტომ ამ თვალსაზრისით, აღნიშნული კვლევა წარმოადგენს სიახლეს.

### **კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანია, ახალი სავალდებულო-სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკის ანალიზით დადგინდეს, ის თუ რამდენადაა ქ.თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მისი დანერგვა ორიენტირებული მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობასა და ხარისხის ზრდასზე.

ნაშრომში გაანალიზებულია ქ. თბილისის მერიისა და რამდენიმე გამგეობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობა ურბანული დაგეგმარების კუთხით, ამასთანავე, გაანალიზებული იქნება ის განხორციელებული პროგრამები, რომლებიც ამ საბჭოების მიერ იქნა ინიცირებული. საბოლოოდ, ერთიანი სურათის მიღების მიზნით, მოცემული იქნება, როგორც საბჭოს წევრების, ისე მოქალაქეთა პოზიციები და შეხედულებები საბჭოს საქმიანობის შესახებ.

### **კვლევის ამოცანა**

ნაშრომში კვლევის ამოცანაა, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმების, შემუშავებული ინიციატივებისა და პროექტების საფუძველზე დავადგინოთ, თუ რამდენად გამოიწვია დაინტერესება მოქალაქეებში ახალი სათათბირო ორგანოს შექმნამ, ჩართულიყვნენ ადგილობრივ თვითმმართველობაში.

გამგეობებისა და საბჭოს წარმომადგენლებთან ინტერვიუების გზით დავადგინოთ, რამდენად დიდი იყო საზოგადოების მხრიდან დაინტერესება და მიმდინარეობდა თუ არა აქტიურად საბჭოს შეხვედრები, ასევე შემუშავებული ინიციატივების, საბჭოსა და გამგეობის წარმომადგენლების შეხვედრის საფუძველზე, რამდენად იქნა დამტკიცებული ეს ინიციატივები და განხორციელებული პრაქტიკაში. ასევე ერთ-ერთი ამოცანაა

ელექტრონული კითხვარის გამოყენების საშუალებით მოქალაქეების ინფორმირებულობის შემოწმება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი მექანიზმის არსებობის/მოლოდინების/ხარვეზების შესახებ.

### **კვლევის საგანი და ობიექტი :**

ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის თავისებურებების შესწავლა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის გამოყენების მაგალითზე. კვლევის ობიექტია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, ქალაქ თბილისის ათივე გამგეობა, ქ. თბილისში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ჩაერთვებიან ელექტრონული კითხვარის შევსების პროცესში. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ასევე მეორეული წყაროები, დოკუმენტური მასალა, სადაც გაანალიზებულია ურთიერთკავშირი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საზღვარგარეთის პრაქტიკასა და მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის ზრდას შორის.

### **საკვლევი კითხვები :**

1. რამდენად განაპირობებს ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის ზრდას, მათი ინფორმირებულობა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის შესახებ ?
2. რამდენად განაპირობებს ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობას სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის დანერგვა ?

### **ჰიპოთეზები :**

1. რაც უფრო მეტად არიან მოქალაქეები ინფორმირებულები სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ, მით მეტად არიან ისინი ჩართულნი ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში.

2. რაც უფრო ინტენსიურად არის ადგილობრივ თვითმმართველობაში დანერგილი თანამონაწილეობითი სავალდებულო მექანიზმი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მით მეტია მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობა ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში.

**ცვლადების ოპერაციონალიზაცია :**

**ურბანული დაგეგმარება :** ქალაქებისა და მათი უბნების ფიზიკური და სოციალური განვითარების მართვის ფორმალური პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ურბანული დაგეგმარება მეტად ტექნიკური პროცესია, ის, ამავდროულად, პოლიტიზირებულიც არის (Margvelashvili, 2016), რადგანაც სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელი ჯგუფები ყოველთვის მზად არიან იბრძოლონ საკუთარი სარგებლისა და შესაბამისი ცვლილების განსახორციელებლად (აბულაძე, 2016).

**მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობა** - ურთიერთობაზე დაფუძნებული პარტნიორობა მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის, როდესაც მოქალაქეები არა უბრალოდ არიან ჩართულნი პროცესებში, არამედ, აქტიურ როლს თამაშობენ, უშუალოდ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხელისუფლება მაქსიმალურად ითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს (Douay, 2017). საბოლოო გადაწყვეტილებას ხელისუფლების ორგანოები იღებენ, თუმცა მოქალაქეები დიალოგის საშუალებით აწვდიან სახელმწიფო ან ადგილობრივ ინსტიტუტებს მოსაზრებებს, ალტერნატივებს და მიმართულებებს. მონაწილეობენ დაგეგმვიდან იმპლემენტაციამდე ყველა ეტაპზე (ურუშაძე, 2016).

**ინფორმირებულობა :** ცალმხრივი ურთიერთობა, როდესაც ხელისუფლება წარმოადგენს და აცნობს საზოგადოებას ჩართულობითი მექანიზმის შესახებ ინფორმაციას. ეს შეიძლება იყოს პასიური გზით, როდესაც მოქალაქე იღებს ინფორმაციას მოთხოვნის შემდეგ; ან აქტიური, როდესაც ხელისუფლების ორგანოები თავად ავრცელებენ ინფორმაციას (მაგ. პროაქტიული გამოქვეყნება) (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, & კონჯარია, 2016).

**სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დანერგვის ინტენსივობა :** „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრულია იმ საკითხების ნუსხა, რომელთა

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უნდა ახორციელებდეს : იგი უნდა განიხილავდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობას, პროგრამებს, სხვა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დოკუმენტებს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დანერგვის ინტენსივობა განხილული ლიტერატურისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გულისხმობს, რომ თითოეულმა გამგეობამ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მოქალაქეებს საბჭოს არსებობის შესახებ; გამგეობებს უნდა გააჩნდეს დებულება, რომელიც შეესაბამება მათ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ; ამასთანავე საბჭო უნდა შეიკრიბოს არანაკლებ 3 თვეში ერთხელ; საბჭომ თითოეული შეხვედირს შემდეგ უნდა წარმოადგინოს რეკომენდაციები, უნდა მოხდეს საჯარო განხილვები (ურუმადე, 2016).

### **კვლევის მეთოდოლოგია და შერჩევა :**

კვლევაში გამოყენებულია, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაანალიზდა მეორეული წყაროები, კვლევები მოქალაქეთა ჩართულობისა და თანამონაწილეობითი დაგეგმარების შესახებ. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანალიზდა ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის დანერგვამდე არსებული სიტუაცია. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სამეცნიერო ნაშრომებზე და საზღვარგარეთის პრაქტიკაზე.

კვლევის პროცესში გამგეობებიდან გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმებისა და მათი ინიცირებული პროექტების შესახებ (2016-2018 წლებში).

სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით, საჯარო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან მოხდა ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ რამდენად დიდი იყო დაინტერესება საზოგადოების მხრიდან ჩართულიყვნენ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობაში, რამდენად მოხდა ამ ინიციატივების იმპლემენტაცია და თუ არ მოხდა, რატომ დაიბლოკა ეს ინიციატივები; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა. გაანალიზდა საბჭოს წევრების

უარყოფითი და დადებითი შეხედულებები/მოლოდინები/ საბჭოს ფუნქციონირების შესახებ. ასევე გამოიკვეთა, ის შემთხვევები, როცა დაიბლოკა ან გათვალისწინებული იქნა საბჭოს წევრების ინიციატივა.

კვლევის პროცესში გამოიკითხა 3 საერთაშორისო ექსპერტი. გერმანიაში Hannover University-ის ასისტენტ პროფესორთან (რომელსაც აქვს საქართველოში მუნიციპალიტეტების დონეზე მუშაობის გამოცდილება), ერთი გერმანული და ერთი ფრანგული ურბანული კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, რომლებიც მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის გაზრდის გზებზე მუშაობენ. პარალელურად, კვლევაში წარმოდგენილია ქართველი ექსპერტების (3 ექსპერტი) შეხედულებები მოსახლეობის ჩართულობითი მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის კუთხით არსებული პრობლემების შესახებ. ნაშრომში გაანალიზებულია სიღრმისეული ინტერვიუებისა და კითხვარების საშუალებით მიღებული პასუხები და შედარებულია, როგორც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრების და საჯარო მოხელეების შეხედულებები საბჭოს მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ. ასევე, გამოკვეთილია, ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ დასმული პრობლემური საკითხები.

ნაშრომის ფარგლებში გამოყენებულია არაალბათური სახის შერჩევა. ვინაიდან კვლევა ეხება ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებას, სრული სურათის შესაქმნელად, მიზნობრივი შერჩევის გამოყენებით, ნაშრომში დედაქალაქის ათივე გამგეობის მონაცემები წარმოდგენილი. თითოეულ გამგეობაში, მიზნობრივი შერჩევის საშუალებით, ელექტრონული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა ერთი საჯარო მოხელე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან, რათა კვლევაში წარმოდგენილიყო მონაცემები გამგეობების მხრიდან გატარებული იმ აქტივობების შესახებ, რომლებიც მოსახლეობის ინფორმირებულობას ისახავდა მიზნად და ერთი საჯარო მოხელე გამგეობის აპარატიდან, რათა კვლევაში ასახული იყოს ის მიზეზები და გარემოებები, რომლებმაც გამგეობების მხრიდან, საბჭოს წევრების ინიციატივების პრაქტიკაში გატარება/არ გატარება გამოიწვია.

მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების შეფასება ხდება გამგეობებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის გზითა და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკით ოქმების ანალიზის საშუალებით. ასევე, სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან (ერთი წევრი-ერთი გამგეობიდან). თუ გამგეობა მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას არ გადმოგვცემს, მოცემულ კრიტერიუმში ავტომატურად იწერება, რომ ინფორმაცია არ არსებობს.

რესპონდენტების მოძიებისათვის გამოყენებულია, როგორც პირადი კონტაქტები, ისე ე.წ. „თოვლის გუნდის“ პრინციპი. ინტერვიუს ჩატარების შემდეგ რესპონდენტის რჩევით ხდებოდა დაკავშირება კომპეტენტურ პირთან.

ამასთანავე, ელექტრონული კითხვარის საშუალებით გამოიკითხა ქალაქ თბილისის მოსახლეობის ნაწილი, რომელთაც დააფიქსირეს პოზიცია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ, იყვნენ თუ არა ინფორმირებული, ჰქონდათ ან აქვთ თუ არა, სურვილი საბჭოს წევრობის ; ამას გარდა, კვლევაში გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზი, რაც გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობისა და მოქალაქეთა ჩართულობასთან დაკავშირებულ პროგნოზების ადგილობრივი თუ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩატარებული კვლევების შესწავლას. რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის საშუალებით აირჩევა, ელექტრონული კითხვარი დაეზავნება მოქალაქეებს (ელ-ფოსტის, სოციალური ქსელების საშუალებით).

#### **ლიტერატურის მიმოხილვა :**

ქალაქებში მოქალაქეებისთვის დემოკრატიული და რაც მთავარია, თანასწორი ცხოვრება ქალაქდაგეგმარების მთავარი გამოწვევაა. კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება ამ ყოველივეს მიღწევა, როგორც სამეცნიერო-აკადემიურ წრეებში, ისე საჯარო პოლიტიკურ დონეზე თანხმდებიან, რომ თანამონაწილეობითი დაგეგმარებას (Participatory Planning) ქალაქის სტრატეგიულ და მმართველობითი პროცესის მნიშვნელოვანი და რაც მთავარია, საჭირო ელემენტია (Horelli, 2013). თანამონაწილეობითი დაგეგმვის მიზანია ქალაქის განვითარების საკითხებში ყველა დაინტერესებული მხარის შეხედულებების შეთანხმება,

არსებული დაპირისპირებებისა და კონფლიქტების პრევენცია (Rietbergen-McCracken, 2010, p. 2). მნიშვნელოვანი ის, რომ თანამონაწილეობითი დაგეგმვა მასში მარგინალური ჯგუფების მონაწილეობის შესაძლებლობას იძლევა (Rietbergen-McCracken, 2010, p. 7)

დემოკრატიული ჩართულობის თეორიები საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების სფეროში ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში 1980-იანი წლებიდან ვითარდება. ეფექტური დემოკრატიული ჩართულობის მიზანია, მოქალაქე გახდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილი და არა ობიექტი იმ გადაწყვეტილებისა (Tickner, 2001). ამდენად, როდესაც ხელისუფლება მხოლოდ საკუთარ შეხედულებას ითვალისწინებს და დაგეგმვისას არ ეყრდნობა ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა საჭიროებებს, სურვილებსა და შეხედულებებს, მოსახლეობისგან ნეგატიურ დამოკიდებულებას იღებს.

კრეიგტონის მიხედვით, საჯარო ჩართულობა, ესაა პროცესი, რომელშიც ხალხის საჭიროებები და ღირებულებები კომბინირებულია სამთავრობო გადაწყვეტილებებთან, რაც გულისხმობს ორმხრივი კომუნიკაციას და ურთიერთქმედებას, საერთო მიზნის მისაღწევად (Creighton, 2005).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD, 2001) თანახმად, მთავრობისა და მოქალაქეების ურთიერთქმედება მოიცავს პოლიტიკის ციკლის ყველა საფეხურს, პოლიტიკის დაგეგმვიდან მის განხორციელებასა და შეფასებამდე (Margvelashvili, 2016).

მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობისა და ხარისხის გასაზომად საჭიროა შემდეგი ეტაპების შესწავლა. ეს ეტაპებია : ინფორმირება, რომელიც თავისი არსით ცალმხრივი პროცესია, ამ ეტაპზე სამთავრობო ოფიციალური პირები უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას მოქალაქეებისათვის. ინფორმირების ეტაპზე ურთიერთქმედებაში მოქალაქეს პასიური როლი აქვს და დამოკიდებულია მთავრობის მიერ ინფორმაციის აქტიურად მიწოდებაზე ; მეორე ეტაპია კონსულტირება, სადაც გვაქვს საქმე ორმხრივი ურთიერთქმედების პროცესთან, ამ შემთხვევაში მოქალაქეებს ეძლევათ უკუკავშირის შესაძლებლობა. მესამე ეტაპზე : აქტიური მონაწილეობა ემყარება პარტნიორობას, სადაც

მოქალაქეს აქვს აქტიური როლი და მონაწილეობს პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში. ამ ეტაპზე ყველაზე მეტად ჩანს მოქალაქის პოზიციის მნიშვნელობა პოლიტიკის ალტერნატივების შეთავაზებასა და პოლიტიკური დიალოგის ფორმირებაში (Margvelashvili, 2016).

ქალაქდაგეგმარებაში თანამონაწილეობითი მექანიზმები მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას დაინტერესებულ და აქტიურ მოქალაქეს ჰქონდეს სრული ინფორმაცია, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში – თავად აირჩიოს ან იქნეს არჩეული შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში ან მექანიზმებში და რაც მთავარია, ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე სახელმწიფო უზრუნველყოფს მის მონაწილეობას პროცესში და აზრის გამოხატვას (Palerm, 2000). ავტორი წერს, რომ ამ პროცესის განხორციელება შესაძლებელია : ინფორმაციის ხელმისაწვდომობით ;პირდაპირი დემოკრატიითა და კონსულტაციური დემოკრატიით (Palerm, 2000).

მოსახლეობის ჩართვა საჯარო პოლიტიკურ პროცესში 70-იანი წლების დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაიწყო. ომგამოვლილ ქვეყნებში ქალაქებისა აღდგენა სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ჩართვით დაიწყო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი მოქალაქეთა ჩართვა მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო (Stauskis, 2014). 1940-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომში დაბომბილი ბრიტანული ქალაქების აღდგენისას, მოსახლეობის დიდი ინტერესი გადაიზარდა დამგეგმარებლების მიერ შემუშავებულ ახალ ტექნიკასთან, რაც გულისხმობდა მოსახლეობასთან აქტიურ კომუნიკაციისათვის და გამოიხატა თანამედროვე ფორუმების ფორმატში სხვადასხვა გეგმებისა და გადაწყვეტილებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებისა და აზრის გამოკითხვაში (Stauskis, 2014). თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესი დროთაგანმავლობაში გავრცელდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. გაჩნდა იმის შეგრძნება, რომ სახელმწიფო სრულად ვერ ასახავდა მოსახლეობის საჭიროებებს, ვინაიდან იმ დაგეგმვა ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების, სამთავრობო უწყებების და მათთან ერთად, კერძო სექტორის მიერ ხორციელდებოდა.

თანამონაწილეობის შესახებ საუბარს ხშირად იწყებენ ადამიანთა უფლებებით. პირველი კავშირი, ამ თვალსაზრისით, თანამონაწილეობას, დემოკრატია და ადამიანის უფლებებს შორის ჩრდილოეთ ამერიკაში გაჩნდა, როდესაც მოსახლეობის მონაწილეობის მოთხოვნა დადგა სამოქალაქო უფლებების ინიციატივის სახით, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების მონაწილეობას გულისხმობდა. 1971 წელს აშშ-ს ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ სემინარების შედეგების შეჯამებაში ჩანს, რომ მოქალაქეები დაგეგმარების მანამდე არსებული პრაქტიკის გამოყენებისას თავს გარიყულად გრძნობდნენ (აბულაძე, 2016). აშშ-ში დანერგილი თანამონაწილეობის მექანიზმი სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა, ამ მექანიზმის დანერგვას მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია უჭერდა მხარს.

მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის გასაზომად სხვადასხვა კრიტერიუმი და ინდიკატორია შემოთავაზებული სამეცნიერო ლტერატურაში. მთავარ კრიტერიუმებს სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეებთან კომუნიკაცია წარმოადგენს, შემდეგი კრიტერიუმია მოქალაქეთა ინტერესი ჩაერთონ ქალაქდაგეგმარების პროცესში; მათ მიერ შემუშავებული ინიციატივების იმპლემენტაცია, ამ ინიციატივების მასშტაბურობა. ინტერესთა ჯგუფების იდენტიფიცირება, ის თუ არის მათი მოტივაცია- ჩაერთონ ქალაქდაგეგმარებაში ; არის თუ არა კონფლიქტი ამ აქტორებს შორის ; რამდენად მლიერია თითოეული აქტორი (საკუთარი ინიციატივის გატანა ჯგუფიდან) და ა.შ.

მეცნიერები მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის კვლევის პროცესში განსხვავებულ კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს გვთავაზობენ. მაგალითად, ბრუდი თვლის, რომ მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობა მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო თვითმმართველ ოლქზე. რამდენად არის იგი ღია მიიღოს ინიციატივები, რამდენად არის მზად საზოგადოებასთან კონსულტაციისთვის, რამდენად აქვს შემუშავებული მოქალაქეთა ჩართულობის ის მექანიზმები, რომლებიც დააბალანსებს, როგორც მოქალაქეებს შორის არსებულ განსხვავებულ შეხედულებებს, ისე სხვადასხვა აქტორების მოთხოვნებსა და საჭიროებებს (Brody & Burby, 2003).

ჩართულობის ეტაპი, მიზანი და ტექნიკა - ეს მნიშვნელოვანი სამეული ჩანს მთავარ ინდიკატორად ბერბისთან (Burby, 2003). ავტორი წერს, რომ ეფექტიანობის შეფასებისას, მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკული ანალიზის პროცესში შესწავლილი უნდა იყოს რამდენიმე კონკრეტული დროითი მონაკვეთი, სოციალური-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია და შემდგომ უნდა მოხდეს მონაცემების შეჯერება. ავტორი ასევე გამოყოფს, მიზანს, იმას თუ რა მიზნები აქვთ პოცენციურ ე.წ „სტიკჰოლდერებს“, კერძო სექტორის წარმომადგენლებს, ხომ არ მოხდა ამ მიზნებით მოქალაქეთა ინიციატივების გადაფარვა ან რამდენად შეჯერდა და გადაიკვეთა საერთო მიზნები. რაც შეეხება მესამე კრიტერიუმს, ეს გახლავთ ტექნიკა, იგივე მექანიზმები, ის თუ რა საშუალებებით რთავს სახელმწიფო საზოგადოებას ქალაქდაგეგმარებაში.

ვებლერი ეფექტიანობის შესაფასებლად მიიჩნევს, რომ მოქალაქეების რწმენა და სახელმწიფოს მხრიდან, პატივისცემის (მოქალაქეების მიერ ხმამაღლა გაჟღერებულ პრობლემებზე) გრძნობის გაჩენა მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს.

ავტორი თვლის, რომ შეფასების პროცესში ჯერ თავად საზოგადოების რწმენა-წარმოდგენები და მოლოდინები უნდა ვიკვლიოთ კონკრეტული ჩართულობის მექანიზმის ფორმის მიმართ (Webler & Krueger, 2001). ავტორისთვის შესაძლებლობა (ability) , სურვილი (desire) , უფლებამოსილება ; მონაწილეობის შესაძლებლობა - ის კრიტერიუმებია, რასაც იგი წარმატებული მონაწილეობის ნიშნებად თვლის. ავტორი წერს, რომ უნდა არსებობდეს რესურსები, ცოდნა და უნარჩვევები მონაწილეობის მისაღებად. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შეგრძნება ან დადასტურება იმისა, რომ მათი მოსაზრებები ასახულია შესაბამის გადაწყვეტილებებში (Webler & Krueger, 2001).

თანამონაწილეობითი დაგეგმარების ისტორია არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) როლის გარეშე არ არსებობს. პირველი დანერგული მექანიზმებში საჯარო და კერძო სექტორთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც მნიშვნელოვანი აქტორები გვევლინებიან. მათთან ერთად, ცალკეა გამოკვეთილი სხვადასხვა დარგის ექსპერტების კონტრიბუცია. თუმცა მათგან განსხვავებით, მოქალაქეები, რომლებიც ერთმანეთის

მეზობლად ცხოვრობენ უკეთ ხედავენ ყოველდღიურ პრობლემებს და უკეთ იციან საკუთარი საჭიროებები. ამდენად, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, როგორც მოსახლეობის, ისე კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ინტერესთა ჯგუფების ხედვები.

სახელმწიფოს მხრიდან, კონსულტაციის პროცესში გამოყოფენ, რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს. პირველი ეს არის საჭიროების შეფასება/ დაგეგმვის არეალის განსაზღვრა, როცა თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესი მოსახლეობის საჭიროებათა შეფასებით იწყება, ასეთ დროს ძირითადად ხდება კონკრეტული ტერიტორიის სოციალური და ეკონომიკური ინდიკატორების დინამიკის გათვალისწინება ; მეორე ასეთი ეტაპია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საინფორმაციო კამპანიის წარმოება, როცა ინფორმაციის გავრცელება ხდება ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის, სოციალური ქსელების მეშვეობით, ან თავშეყრის ადგილებში და ორგანიზაციებში განცხადებების გაკვრით და სხვა საშუალებებით. შემდეგი ეტაპია მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრა, როცა პროცესით დაინტერესებული მოქალაქეების შეკრება ხდება. ასეთ დროს „თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის პრინციპია: ვინც მონაწილეობს, სწორედ ის არის, ვინც უნდა მონაწილეობდეს („Who ever comes is the right people“). ანუ, ნებისმიერი პიროვნება სასურველია და ვინც მოვა, სწორედ ის არის, ვინც უნდა მონაწილეობდეს (20-200 ან მეტი მონაწილე)“ (აბულაძე, 2016). შემდგომ ეტაპზე ხდება საერთო ხედვის შემუშავება და ბოლოს შედეგების თაობაზე სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის ინფორმირებულობა.

ბუნებრივია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში თანამონაწილეობითი დაგეგმარების ეს ზოგადი ეტაპები სხვადასხვა მექანიზმებთან შედარებით განსხვავებულად აისახება. თუმცა, მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეტაპებსა და მექანიზმების არსზე მეტად მნიშვნელოვანია ის თუ, რა როგორი პოლიტიკური და სოციალური სიტუაციაა ქვეყანაში.

თანამონაწილეობითი დაგეგმარებისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობა და ის, რომ ქალაქდაგეგმარების პროცესში, არამხოლოდ ადგილობრივი, ასევე გლობალური ძალებიც

ერთებიან (Kedogo, Sandholz, & Hamhaber, 2010). ამ კონცეფციაში გამოკვეთილია გლობალიზაციის როლს თანამედროვე ქალაქების დაგეგმვის პროცესში, და ხაზს უსვამენ რომ დღეს ქალაქდაგეგმარება უფრო ქსეულურია (network-based), ვიდრე იერარქიული (Kedogo, Sandholz, & Hamhaber, 2010, გვ. 1-3). მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ დროთა განმავლობაში ქალაქდაგეგმარების პარადიგმამ წლებთან ერთად აქტორების „დამატებით ჩართვის“ საჭიროება დაგვანახა. 1950 წლიდან „რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდია, იწყება ახალი ქალაქების მშენებლობა და განახლება. ამ პერიოდში, ძირითადად ვხედავთ მხოლოდ ერთ აქტორს - სახელმწიფოს, რომელიც პირდაპირი თუ ირიბი გზებით თავად მონაწილეობს ახალი ქალაქების მშენებლობაში.

1960 წლები უკვე მოდერნიზაციის პერიოდად ხასიათდება, სადაც იწყება საზოგადოების საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამ პერიოდში იკვეთება კეთილდღეობის სახელმწიფოს ნიშნები. სახელმწიფო გვევლიება უკვე, როგორც მხოლოდ მგეგმავი. თუმცა 1970-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი ფონზე, ხელისუფლება უკვე „საჭიროებს“ სხვა აქტორების ჩართვას. საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფოსთან და სხვა ბენეციარებთან ერთად იწყებენ ქალაქების მშენებლობას, თუმცა ეს ჩართულობა გამოიხატება მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით და სახელმწიფო კვლავ ერთადერთი აქტორია, იმ თვალსაზრისით, რომ ის განსაზღვრავს ქალაქისთვის ძირითად საჭიროებებს.

1980-იანი წლებიდან ნეოლიბერალიზმისა და თავისუფალი ბაზრის ქოლგის ქვეშ, ჩვენ ვხედავთ კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას, ისინი უკვე გამოკვეთილი აქტორები არიან, სახელმწიფოს როლი კი ამ პროცესში მხოლოდ ამ აქტორების ორგანიზებული ჩართვის უზრუნველყოფაა (სახელმწიფო - enabler (Kedogo, Sandholz, & Hamhaber, 2010, გვ. 3)).

1990 წლიდან გლობალიზაცია და მდგრადი განვითარების კონცეფცია ჩნდება ასპარეზზე და აქტორებად გვევლინება, უკვე თანაბრად საჯარო-კერძო-სამოქალაქო სექტორი, საერთაშორისო და აადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

2000 წლიდან თანამონაწილეობითი დაგეგმარების კონცეფციას ემატება კარგი მმართველობის ( Good Governance) პარადიგმა და სახელმწიფო ამ პროცესში რთავს ყველა რელევანტურ აქტორს. სწორედ აქ არის განსხვავება სხვა წლებთან შედარებით, 2000 წლიდან ჩვენ ქალაქდაგეგმარებაში არ ვხედავთ რაიმე შეზღუდვებს აქტორების ჩართულობის მხრივ, ჩართულია ყველა ის აქტორი, რომელიც რელევანტურია აღნიშნულ პროცესთან მიმართებაში. რელევანტურობა ბუნებრივია არ განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ (Kedogo, Sandholz, & Hamhaber, 2010).

დროთაგანმავლობაში ევროპაში და განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების პრაქტიკებზე დაყრდნობით მეცნიერთა ნაწილში გამოიკვეთა შეხედულება, რომ საჯარო სექტორს ქალაქდაგეგმარების პროცესში მხოლოდ ფორმალური აქტორის როლი აქვს და იგი გვევლინება მხოლოდ როგორც აღმსრულებელი. (Hansen & Sandkjær, 2011). მხოლოდ მანდატის მქონე აქტორად გვევლინება საჯარო სექტორი სხვა კვლევებშიც. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით, ანგლო საქსური ან ნეოლიბერალური დოქტრინები უწყობს ხელს თანამონაწილეობით დაგეგმარებაში კერძო სექტორის ჩართულობას და სახელმწიფოს როლის დაკნინებას (Heurkens, 2009 ).

ნიდერლანდების სამეფოს სამი ქალაქის მაგალითზე, პროფესორი ჰერკენსი წერს, რომ ამსტერდამში, როტერდამსა და დელტფში კერძო სექტორთან ერთად ჩანს მოქალაქეების, სამეზობლოების, ე.წ თემის ჩართულობა კონკრეტული ინიციატივის დაგეგმვისას. თუმცა ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ მთავარი მექანიზმი, რომელიც შედეგიან თანამონაწილეობას მოუტანს ქალაქს, სწორედ საჯარო სექტორის მიერ უნდა იყოს შემუშავებული და აქტორთა ერთგვარი „დაწინაურება“ საჯარო პოლიტიკის მიერ უნდა მანევრირდებოდეს.

ამ შემთხვევაში საჯარო სექტორის როლი, როგორც „ძალის არმქონე“ აქტორის, მხოლოდ ფორმალურია. თუმცა, დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში არსებობს მთავრობის ნება და მზაობა, უფლებამოსილი გახადოს მოქალაქე, ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და განხორციელების პროცესებში. თუმცა, თავად მოქალაქესაც უნდა

ჰქონდეს ამის მზაობა, აცნობიერებდეს ჩართვის აუცილებლობას, ხედავდეს საკუთარ პიროვნულ და საზოგადოებრივ სარგებელს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) შემუშავა 10 პუნქტიანი რეკომენდაცია მთავრობებისათვის ღია და მრავალმხრივი პოლიტიკის შემუშავებისთვის, იგი აერთიანებს 30 განვითარებულ ქვეყანას. რეკომენდაციები ინფორმაციის წვდომის, კონსულტაციისა და ქვეყნის პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღებაში აქტიური მონაწილეობისთვის სივრცეს ქმნის. რეკომენდაციების მიხედვით, უნდა არსებობდეს მზაობა და მთავრობის ღიაობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ჩართვისთვის (1) ; საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, უფლება საკუთარი მოსაზრების გამოთქმის. მთავრობა კი ვალდებულია, უპასუხოს საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებს (2) ინფორმაციის, მონაწილეობის და კონსულტაციების ამოცანები ან არსებული შეზღუდვები ნათლად უნდა იყოს გამოცხადებული პოლიტიკის დაგეგმვის საწყის ეტაპზე (3); დრო და ვადები უნდა იყოს გაწერილი ვინაიდან სამოქალაქო კონსულტაციები და აქტიური მონაწილეობა გარანტირებული უნდა იყოს პოლიტიკის შემუშავების ადრეულ ეტაპზე, რომ მოხდეს პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და პრობლემების გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმის შემუშავება (4) ; მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ობიექტური, სრული დამისაწვდომი უნდა იყოს. ყველა მოქალაქეს უნდა მიენიჭოს თანაბრად შესაძლებლობა, სრულად გამოიყენოს ინფორმაციის მიღებისა და მონაწილეობის უფლება (5); აუცილებელია ადეკვატური ფინანსური, ადამიანური და ტექნიკურ-მატერიალური რესურსების გამოყოფა თანამონაწილეობისთვის (6) ; მოქალაქეების ინიციატივები, კარგად უნდა იყოს კოორდინირებული სამთავრობო შორის სტრუქტურებს შორის (7) ; ანგარიშვალდებულება (8) მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან მთავრობის მოვალეობაა, მოქალაქეების მიერ გაწეული კონსულტაციების, მოსაზრებების და შენიშვნების ასახვა პოლიტიკის წარმოების პროცესში ; შეფასებაზე (9) დაფუძნებით მთავრობამ უნდა დანერგოს სიახლეები პოლიტიკის წარმოებაში და ბოლოს, მთავრობამ უნდა დაგეგმოს და განახორციელოს კონკრეტული აქტივობები და შექმნას

მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს თანამონაწილეობით დაგეგმარებაში მოქალაქეთა როლის გაზრდას (10) (გორგაძე, 2018).

როგორ უნდა გაიზარდოს მოქალაქეთა როლი ქალაქდაგეგმარებაში? - მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები დემოკრატიის ამომავალი წერტილია, ხმის მიცემა არ არის სახელმწიფო მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთადერთი საშუალება. მოქალაქეთა როლის გასაზრდელად გამოიყენება საჯარო დებატები, შეხვედრები, კამპანიები, გამოკითხვები, მრჩეველთა საბჭოები, პეტიციები, ინიციატივები, ცხელი ხაზები, კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებები, ვებ-პლატფორმები და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ეფექტურობაზე საუბრისას ხაზს უსვამენ აქტიური და პასიური სამოქალაქო საზოგადოების თავისებურებებს და პოლიტიკური კულტურის მნიშვნელობას (Julie Nelson and David Kerr, 2006 ), თუმცა მნიშვნელოვანია საჯარო სექტორის მზაობის გამოკვეთა. ის თუ, რამდენად არის სახელმწიფოში საჯარო ადმინისტრირება იმ დონეზე, რომ მან შესძლოს და დაარეგულიროს ურთიერთობა აქტორებს შორის და გამოკვეთოს მნიშვნელოვანი პრობლემა ისე, რომ დაკმაყოფილებული იყოს დაგეგმარების პროცესში მყოფი აქტორების საჭიროებები და მოთხოვნილებები. რამდენად აქვს ქვეყანას იმის ეკონომიკური-სოციალური და პოლიტიკური მზაობა, რომ შეძლოს ამგვარი პროცესის წარმართვა? (Douay, 2017).

სოციალური უთანასწორობისა და ეკონომიკური არასტაბილურობის ფონზე საზოგადოებრივი მოწყობის ნებისმიერი სფერო მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ამ მოვლენებს თან ერთვის გლობალიზაცია და მისი თანმდევი პროცესები. ბუნებრივია, რომ ამ ცვლილებებს არ ჩამორჩა ქალაქდაგეგმარება (Kohon, 2015). მოსახლეობას, რომელსაც რთული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აქვს უჭირს დროის გამონახვა ჩაერთოს ქალაქდაგეგმარებაში და თავის მხრივ, ხელისუფლებამ, რომელსაც სახელმწიფოსთვის კოლოსალური მნიშვნელობის (თავდაცვა, ეკონომიკური სტაგნაცია, შიდა თუ საგარეო პოლიტიკური დამაბულობა) პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, რთულია უხარვეზო ჩართულობის მექანიზმი შემოგთავაზოს (Kohon, 2015).

აშშ-ს შავკანიანთა კოლეჯისა და უნივერსიტეტის „Historically Black Colleges and Universities (HBCU)“ სტუდენტებისა და ლექტორების კვლევის თანახმად, თანამონაწილეობის პროცესში მოქალაქეთა როლის გაზრდა და მონაწილეობის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმ აქტორებზე, რომელთან ერთადაც უწევს სამოქალაქო სექტორს ჭიდილი მიიტანოს საკუთარი საჭიროებები პოლიტიკის დღის წესრიგში. კვლევის თანახმად, რაც უფრო ფართოდ არიან ქალაქდაგეგმარების პროცესში სხვადასხვა აქტორები წარმოდგენილი მით მეტი ადამიანია შედეგით კმაყოფილი. საინტერესოა, ეს შემთხვევა იმითაც, რომ უნივერსიტეტმა თავად შესთავაზა ალაბამას შტატს ჩაეტარებინა კვლევა და შემდგარიყო ერთგვარად სამოქალაქო საზოგადოების ამ ჯგუფსა და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობა (LOWE, 2008 ).

თანამონაწილეობის პროცესის მთავარი ეტაპი ქალაქდაგეგმარებაში უნდა იყოს საპროექტო გეგმარების შემუშავების შემდეგ, დოკუმენტაციის კვლავ წარდგენა პროცესში ჩართული ყველა აქტორისთვის და უშუალოდ წარდგენის შემდეგ უნდა მოხდეს დამტკიცება-შეფასების პროცედურებს და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა (Özlem Özer-Kemppainen, 2010). ამდენად, ჩართულობის ერთ მექანიზმში შესაძლოა რამდენიმე მეთოდის გამოყენება, რომელიც მუდმივ კომუნიკაციაზეა დაფუძნებული და მოიცავს ყველა ეტაპზე, როგორც ერთდროულ, ისე ცალ-ცალკე შეხვედრებს აქტორებთან, საერთო საჭიროებებისა და მოთხოვნების გამოკვეთას, განსხვავებულების გაერთიანებას (Özlem Özer-Kemppainen, 2010). ასეთი მეთოდები შეიძლება იყოს ე.წ. „ვორკშოპების“ ფორმატი, ე.წ. „ბრეინსტორმინგი,“ და ახალი ინოვაციური მეთოდი ე.წ. „ვირტუალური ტური“ (Özlem Özer-Kemppainen, 2010), რაც გულისხმობს სამომავლო სცენარის გაზიარებას, სადაც ნახულია აქტორებისთვის სასარგებლო პერსპექტივები კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

თანამონაწილეობითი დაგეგმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ის არის, რომ მოქალაქეების მიდგომა ქალაქდაგეგმარების პროცესისადმი დროთაგანმავლობაში შესაძლოა გახდეს ნიჰილისტური. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ პერსპექტივიდან არამხოლოდ სახელმწიფოს ნაკლები ინიციატივებია - ჩართოს საზოგადოება ან გაატაროს

პრაქტიკაში მის მიერ წამოყენებული ინიციატივები, არამედ ის აქტორებია, რომელთა ერთადაც მოქალაქეებს უწევთ საკუთარი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დღის წესრიგში დაყენება.

ამ „შეჯიბრებაში“ ისინი ვერ იმარჯვებენ, მათი ხმა არ არის გადამწყვეტი და პრიორიტეტული (Williams, 2007), ამდენად, პრობლემის მოსაგვარებლად კონცეფციაში შემოდის ახლებული ხედვა, რომელიც გულისხმობს, როგორც აქტორებსა და სახელმწიფოს, ისე აქტორებს შორის სოციალური დიალოგის წარმოებას და რაც მთავარია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ამ პროცესში სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტილებების ორ ვარიანტს სთავაზობს ერთმანეთს : ერთი ეს არის სახელმწიფოსა და აქტორებს შორის კომუნიკაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება და მეორე აქტორებს შორის შეთანხმებული გადაწყვეტილება. დევიდ უილიამსი წერს, რომ ე.წ Community-based ორგანიზაციები, ასევე ე.წ ამხანაგობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მიწის მფლობელები და ბიზნესმენები ერთობლივად შეძლებენ საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებას სახელმწიფოს მედიაციის საშუალებით. თუმცა, აქტორების ჩამონათვალი ზრდადია, არსებობს სავაჭრო გაერთიანებების, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ასოციაციების ჩართულობის მაგალითებიც (Williams, 2007).

თანამონაწილეობითი ქალაქდაგეგმარების კვლევამ ეგვიპტეში და სამხრეთ აფრიკის სხვადასხვა ქალაქების მაგალითზე აჩვენა, რომ სოციალურად დაბალი ფენების მონაწილეობა ურბანულ დაგეგმარებაში ფაქტობრივად არ არსებობს. ჰელვანის უნივერსიტეტის (ეგვიპტე) პროფესორის, ეიმან ნოურის პუბლიკაციაში სახელმწიფო წარმოდგენილია, როგორც მოხალისე, რომელიც მოქალაქეებს „სახლიდან გაუსვლელად“ რთავს მონაწილეობის პროცესში. რაც გულისხმობს, საცხოვრებელ ადგილებში მოქალაქეების ნებართვისა და სურვილის გათვალისწინებით მათი აზრისა და საჭიროებების მოსმენას (Nour, 2011).

ამ პარადიგმაში ხაზგასმულია, რომ ყველაზე მეტად გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლების ინტერესები, რადგან მათი ინტერესების

გათვალისწინება ხელს შეუწყობს ამ ფენის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს ქალაქის საშუალო ფენის რაოდენობის ზრდას (Nour, 2011). თუ ამ ფენის ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული ისინი უფრო დაბალი ფენის წარმომადგენლები გახდებიან ,რაც წარმატებული ქალაქის საწინდარი ნამდვილად ვერ იქნება.

ქალაქდაგეგმარებაში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი შესაძლოა გაიზარდოს, თუმცა ეფექტიანობა კვლავ პრობლემური იყოს. ამის მიზეზი, „საზოგადოების იგნორირებული მოთხოვნებია“ (Kaur, 2007). ამ პრობლემის ერთ-ერთ მთავარ გზად ნეიტრალური მოდერატორის მექანიზმი სახელდება, რომელიც ერთი საერთო პლატფორმის, “საერთო მაგიდის” ირგვლივ, მსხდომი აქტორების მოთხოვნილებებისა და ინტერესების გამოხატვის შემდეგ მოდერირებით აბალანსებს და აყალიბებს საერთო ხედვას. ამ კონცეფციაში საინტერესო ისაა,რომ ნეიტრალური მოდერატორის მანდატს სახელმწიფო და დაგეგმარებაში მონაწილე აქტორები გადასცემენ ექსპერტთა გარკვეულ ჯგუფს.

მთავარი „კონკურენტი“ მოქალაქეებისთვის ქალაქდაგეგმარების პროცესში კერძო სექტორია. ხშირად, სახელმწიფო ეკონომიკური კეთილდღეობის მიღებისთვის არ ითვალისწინებს მოსახლეობის საჭიროებებსა და სურვილებს და გადაწყვეტილებას კერძო სექტორის ინტერესების გათვალისწინებით იღებს. ჯენიფერ მაკრაკენი თავის პუბლიკაციაში, წერს რომ მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებისას არის შემთხვევები,როდესაც კერძო სექტორმა შეიძლება ვერ მიიღოს მოგების მაქსიმუმი დაგეგმარების პროცესში. თუმცა, კერძო სექტორი ვერ განვითარდება სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლური მიდგომის გარეშე. მისი მოგება იქნება სტაბილური (Rietbergen-McCracken, Planning, Participatory Development, 2015). ავტორი გამოკვეთს, რომ ხშირად, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გაუმჯობესებაზე ზრუნვა განზე ტოვებს კერძო სექტორს, ქალაქდაგეგმარების პროცესში გასათვალისწინებელია ფინანსური სარგებელი, შესაბამისად უნდა გაიაზროს ხელისუფლებამ რომ ფინანსური თვალსაზრისით, საჭიროა კერძო სექტორის ჩართულობა და არანაირი შეზღუდვები( trades off)-ები არ უნდა არსებობდეს მისი ჩართულობის პროცესში (Rietbergen-McCracken, Participatory Development Planning, 2010).

ურბანული განვითარების კონცეფციაში თანამონაწილეობითი დაგეგმარების პრაქტიკის კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია მოქალაქეთა ჩართვის მექანიზმებამდე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამ მიდგომაში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება წარმოდგენილია, როგორც მოქალაქეთა „პირველადი ურბანული მოთხოვნილებების“ დაკმაყოფილებად (Ng, Li, & Wong, 2012). ქალაქდაგეგმარება არ უნდა გავიგოთ მხოლოდ სკვერების ან სავაჭრო შენობების მშენებლობა/არ მშენებლობის საკითხი. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ ადამიანებს სჭირდებათ კარგი საცხოვრებელი პირობები, კარგი საჯარო სივრცეები, სადაც შეუძლიათ ერთმანეთს შეხვდნენ. მათ სჭირებათ ჯანსაღი გარემო, კარგი საჯარო ტრანსპორტი, სუფთა წყალი, ეს ყველაფერი ქალაქდაგეგმარებაა. ქალაქდაგეგმარება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ არქიტექტურა. სახელმწიფომ უნდა შექმნას და განახორციელოს ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც დაეხმარება საზოგადოებას ეფექტურ ფუნქციონირებაში.

როგორ მივიღეთ სოციალური დიალოგამდე ?! ავტორები წერენ, რომ საზოგადოება მხოლოდ მაშინაა აქტიური, როდესაც ადამიანები თავისი საცხოვრებელი პირობებით არიან კმაყოფილნი (Ng, Li, & Wong, 2012).

## თავი I . მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკა საქართველოში - ადგილობრივი თვითმმართველობა და ურბანული დაგეგმარება

### საკანონმდებლო და ისტორიული მიმოხილვა

ადგილობრივი თვითმმართველობები ქალაქდაგეგმარებაში მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად სახელდება. 1985 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხოლო ხელმოსაწერად დოკუმენტი 1985 წლის 15 ოქტომბერს გაიხსნა (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, & კონჯარია, 2016).

საქართველომ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 2002 წლის 29 მაისს. 2004 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ქარტიის რატიფიცირება და 2005 წლის 1 აპრილიდან ის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, & კონჯარია, 2016). 2010 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები განისაზღვრა ახალი, VIII თავით „ადგილობრივი თვითმმართველობა“. თვითმმართველობის კონსტიტუციურ გარანტიებთან დაკავშირებული მუხლები ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

ურბანულ დაგეგმარებაში ჩართულობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება 2010 წლიდან, როცა ქვეყნის ძირითად კანონში შეტანილმა ცვლილებებმა და დამატებებმა კონსტიტუციურად გაამყარა თვითმმართველობის საქმიანობის გარანტიები. 2013 წლის 1 მარტს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014

წლებისათვის". 2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომელმაც დეცენტრალიზაციის, სუბსიდიარობისა და მართვის ეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით საკანონმდებლო საფუძველი შექმნა ეფექტიანი მმართველობითი სისტემის ჩამოსაყალიბებლად (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, & კონჯარია, 2016).

ორგანული კანონი თვითმმართველობის განხორციელების მთავარ პრინციპად აღიარებს საქართველოს მოქალაქეთა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის უფლებას. ამავე კანონის 85-ე მუხლის თანახმად: მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის (საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 04/08/2015).

კოდექსში წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები: ა) დასახლების საერთო კრება; ბ) პეტიცია; გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; ე) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა (საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 04/08/2015).

100 წლის წინ, დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921წლები) საქართველოში ვერ მოესწრო რუსეთის იმპერიის დროს დამკვიდრებული ადგილობრივი თვითმმართველობის შეცვლა. მაშინ არსებული მართვის მოდელი ფუნქციონირებდა

სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ და ითავსებდა როგორც თვითმმართველობის საწყისებს, ისე სახელმწიფოს მმართველობის ინსტიტუტებს. ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიზაციაში პროგრამული დოკუმენტის როლი 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კონსტიტუციას უნდა შეესრულებინა. ამ კონსტიტუციის საფუძველზე უნდა განხორციელებული თანამონაწილეობითი დაგეგმარებაც დაყოფილ ოლქებში, თუმცა ვერ განხორციელდა ამგვარი დაყოფა, რადგან კონსტიტუციის მიღებიდან 4 დღეში მოხდა საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მერ (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, & კონჯარია, 2016).

ურბანული დაგეგმარება ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოში თვითმმართველ ერთეულს მუნიციპალიტეტი ეწოდება და ის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. თვითმმართველი ქალაქი არის ადმინისტრაციული საზღვრის მქონე ერთი დასახლება, თვითმმართველი თემი არის დასახლებათა ერთობლიობა, რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქების ნორმალური განვითარებისთვის, ქალაქის მოსახლეობის მიერ ადეკვატური სერვისების მიღებისთვის, თვითმმართველობაში მოქალაქეთა მეტი მონაწილეობისთვის ქალაქებს საკუთარი მერი, საკრებულო, შესაბამისი საქალაქო სამსახურები სჭირდება (აბულაძე, 2016).

### სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის დანერგვამდე არსებული მდგომარეობა საქართველოში

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, ურბანიზაცია შეუქცევადი პროცესია და ქვეყანაში დღეს არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, დედაქალაქ თბილისში, სამუშაო ძალის სიჭარბის წარმოქმნა კიდევ უფრო ამძაფრებს საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს (Salukvadze, Dolidze, & Lozano, 2013). ამდენად, დიდი ქალაქებისთვის რთული ხდება მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ დედაქალაქში ?

სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთარ,ომ მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ კვლევები არამხოლოდ ქალაქდაგეგმარებაში, არამედ ზოგადად

ადგილობრივ თვითმმართველობებში გამოკვეთს საინტერესო ტენდეციებს. CRRC-NDI-ის 2015 წლის აგვისტოს გამოკითხვის შედეგებით,გამოკითხვამდე ბოლო 12 თვის მანძილზე საჯარო შეხვედრას მოსახლეობის მხოლოდ 9% დასწრებია, დემონსტრაციას – 3%, ასეთივე პეტიციაზე ხელის მომწერთა წილიც (მაჭარაშვილი, 2016). 2014 წლის აპრილ-მაისში CRRC-საქართველოს მიერ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამის“ (G-PAC) ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2%-ია რაიმე გაერთიანების, კლუბის ან ასოციაციის წევრი – რომელთა შორის ისეთი გაერთიანებებიც მოიაზრება, როგორცაა წიგნების მოყვარულთა, მწერალთა ან ხელოვანთა კლუბები, თეატრის, ცეკვის ან სპორტის მოყვარულთა გაერთიანებები, თუნდაც რაიმე ონლაინგაერთიანებ (მაჭარაშვილი, 2016)ა.

გასათვალისწინებელია ის,რომ მონაწილეობის დაბალი დონე არ გულისხმობს იმას,რომ მოსახლეობას არ შეიძლება ჰქონდეს მაღალი ინტერესი მონაწილეობის. G-PAC-ის გამოკითხვის შედეგების თანახმად, 35% ამბობს, რომ გაწევრიანდებოდა ორგანიზაციაში, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად იმუშავებდა. გაწევრიანების სურვილი ჰქარბობს 18-დან 35 წლამდე ადამიანებს შორის. შესაძლოა არსებობდეს ინტერესი,თუმცა საზოგადოებას ვერ სთავაზობდეს სახელმწიფო ჩართულობის მექანიზმს (მაჭარაშვილი, 2016).

როგორც წამყვანი დონორი ორგანიზაციების კვლევებიდან ჩანს დედაქალაქში მოქალაქეთა ჩართულობა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. დაბალია სამოქალაქო მონაწილეობის ხარისხი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მოსახლეობა უმეტესწილად მთავრობისა და პარლამენტის მიერ უკვე დამტკიცებული სტრატეგიებისა თუ კანონპროექტების უბრალო მომხმარებელია, რაც გამოხატულია იმაში,რომ მოქალაქეები პოლიტიკურ დღის წესრიგს სათანადოდ ვერ წარმართავენ და არ არიან ჩართულნი მათ გარშემო არსებული პრობლემების მოგვარებაში (პოლიტიკის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის პრობლემები – საქართველო, 2013)

ქალაქდაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობისთვის ეფექტურობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი ეტაპი 2011 წლიდან დაიწყო, როცა გლობალური საერთაშორისო ინიციატივა „ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP) დაარსდა. პარტნიორობის მთავარი ამოცანა თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, მთავრობების გამჭვირვალობის გაზრდა, სამოქალაქო ჩართულობის ამაღლება, კორუფციასთან ბრძოლა და მეტი ღიაობის უზრუნველყოფაა. OGP-ის მიერ მსოფლიოს სახელმწიფოთა 2013 წლის შეფასების შედეგებით საქართველომ 16-დან საერთო ჯამში 15 ქულა აიღო. საერთო ჯამში, ეს შეფასება უარყოფითად არ აღქმულა, თუმცა გამოიკვეთა ჩვენთვის საინტერესო პრობლემები.

შეფასების შკალიდან იკვეთება, რომ ქვეყნის მთავარ გამოწვევას პოლიტიკის შემუშავება-ფორმულირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა წარმოადგენს. მხოლოდ ამ კომპონენტში მიიღო მაქსიმალური 4-დან 3 ქულა (პოლიტიკის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის პრობლემები – საქართველო, 2013).

2014 წლის 5 აგვისტოს ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველო“ ლონისძიებაზე „თვითმმართველობის რეფორმის გამოწვევები - თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის პერსპექტივები“ წარმოადგინა კვლევა „სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები საქართველოს სოფლებში“.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ მოსახლეობამ არ იცის: როგორ დასვას პრობლემა; როგორ გაერთიანდეს პრობლემის გარშემო; როგორ დააყენოს საკითხი თვითმმართველობის ორგანოების წინაშე; როგორი ურთიერთობა ჰქონდეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან; რა უფლებები აქვთ მოქალაქეებს; მეორე მხრივ, გამოიკვეთა, რომ თვითმმართველობის მოხელეები მოქალაქეების მიმართ არ იჩენენ მეგობრულ დამოკიდებულებას და პატივისცემას; მოქალაქეების მიერ დაყენებულ საკითხებზე ადგილობრივი ხელისუფლება არ გამოხატავს ინტერესს და უგულებელყოფს მათ (ლოსაბერიძე, ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014, 2015);

საინტერესოა, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კვლევაც, სადაც ჩანს, რომ მოსახლეობის მხოლოდ 7%-ია ინფორმირებული მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ, ასევე უმნიშვნელოა იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც აქვთ ინფორმაცია ახლადდანიერგილი მონაწილეობის მექანიზმების შესახებ (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), 2015)

## თავი II. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

### სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის დანერგვა საქართველოში

საქართველოში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის დანერგვა ორ ეტაპად განხორციელდა.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ (G3) პროგრამის ფარგლებში 2012 წელს შეიქმნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები საქართველოს ათ თვითმმართველ ერთეულში - 4 თვითმმართველ ქალაქსა (ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი) და 6 სათემო მუნიციპალიტეტში (ახალციხე, გორი, ზუგდიდი, თელავი, მარნეული, ოზურგეთი). სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები მიზნად ისახავდა გამჭვირვალობის, თანამონაწილეობისა და ზოგადად დემოკრატიულობის შეგრძნების გაზრდას მოქალაქეებში. საბჭოები ჩამოყალიბდა „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ (G3) პროგრამის დაფინანსებით 2012 წლის გაზაფხულზე. პროექტის ხელშეწყობა და ინსტიტუციური მხარდაჭერა თვითმმართველ ერთეულებში მოხდა საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ (ურუმადე, 2016).

თუმცა, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბებას დაემთხვა მთელი რიგი პოლიტიკური პროცესები საქართველოში და მის ეფექტურ მუშაობას პოლიტიზირების საფრთხე დაემუქრა (ურუმადე, 2016).

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალი და უკვე სავალდებულო ფორმა 2015 წელს ჩნდება. 2015 წელს დგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შევიდა ცვლილები (N4087-რს 22.07.2015) (საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 04/08/2015)). ცვლილებების მიხედვით, ყველა მუნიციპალიტეტის მერებისა და გამგებლებისათვის და თბილისის რაიონების გამგებლებისათვის სავალდებულო გახდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების შექმნა. მანამდე კოდექსი მათ მსგავსი სათათბირო ორგანოების შექმნის უფლებას აძლევდა, მაგრამ მოქალაქეთა მონაწილეობის ამ ფორმის გამოყენება სავალდებულო არ იყო.

მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, ძირითადად, მოქალაქეთა მცირე ჯგუფისგან (20-25 ადამიანამდე) ფორმირდება. საბჭოს წევრების შერჩევა ხდება მათი პატიოსების, გამოცდილების, პროფესიონალიზმის, პატივისცემისა და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს ძალაუფლება (არც ფორმალური კომპეტენციები) არ გააჩნია, მისი მოსაზრებები ფასეულია, რადგან საბჭოს წევრები წარმოადგენენ ადგილობრივ საზოგადოებას და შეუძლიათ კონკრეტული საკითხების შესახებ საზოგადოების კომპეტენტური ნაწილის აზრისა და შეფასების გამოხატვა (აბულაძე, 2016).

კოდექსის მიხედვით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში, მინიმუმ 10 წევრი მაინც უნდა იყოს. მის შემადგენლობას და საბჭოს საქმიანობის განმსაზღვრელ დებულებას მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი (თბილისის რაიონში - თბილისის რაიონის გამგებელი) ამტკიცებს. კოდექსის 861 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია კანონის ეს მოთხოვნა. ეს უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვას მრჩეველთა საბჭოს ფორმირებისას.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ და მისი გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით. საბჭოს სხდომა, ისევე, როგორც

მუნიციპალიტეტის ყველა კოლეგიური ორგანოს სხდომები, საჯარო. საბჭოს სხდომის ოქმი საჯაროდ უნდა გამოაქვეყნდეს სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში. მნიშვნელოვანია მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ იმ ეთნიკური, რელიგიური უმცირესობებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები, მათ შორის კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები.

კოდექსის მიხედვით, გამგებელი/მერი ვალდებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, აგრეთვე, სხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები (აბულაძე, 2016) ამასთანავე, მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალდებულია განახორციელოს მიერ მიერ შექმნილი საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური დახმარება, რაც გამოიხატება საბჭოსთვის სამუშაო სივრცის გამოყოფაში, საბჭოს სხდომების შესახებ წევრთა წინასწარ ინფორმირებასა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების მიწოდებაში, ასევე საბჭოს სხდომების საკანცელარო ნივთებით მომარაგებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელიც გამგებელმა სავალდებულოდ უნდა წარუდგინოს საბჭოს წევრებს და მიიღოს მათგან რეკომენდაციები.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალდებულია განახორციელოს მიერ მიერ შექმნილი საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური დახმარება, რაც გამოიხატება საბჭოსთვის სამუშაო სივრცის გამოყოფაში, საბჭოს სხდომების შესახებ წევრთა წინასწარ ინფორმირებასა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების მიწოდებაში, ასევე საბჭოს სხდომების საკანცელარო ნივთებით მომარაგებაში.

#### სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმატებული მაგალითები : საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა

მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის გასაზრდელად შემუშავებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რუმინული პრაქტიკა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ

სახელმწიფომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა, რათა მექანიზმის შესახებ საზოგადოება მაქსიმალურად ინფორმირებული ყოფილიყო.

რუმინეთში რამდენიმე თვითმმართველობამ ერთდროულად დაიწყო საინფორმაციო კამპანია საბჭოს ფუნქციონირების შესახებ, რამაც როგორც ქალაქების, ისე სოფლების მოსახლეობა მოიცვა. 2001 წელს, ქალაქ ბრასოვში, მასშტაბური საინფორმაციო კამპანიის შემდეგ დაიგეგმა საჯარო განხილვა, სადაც მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა გამოყო პრიორიტეტი – საზოგადოებრივი ტრანსპორტი. საჯარო განხილვაზე წარმოდგენილი იყო კერძო სექტორის ინიციატივაც, რომელიც თანამშრომლობას სთავაზობდა საჯარო სექტორს. შედეგად, კონკრეტული მიზნის მისაღწევად, შეიქმნა 14-წევრიანი ჯგუფი — „ტრანსპორტის მრჩეველთა კომიტეტი“. ჯგუფი დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა სფეროსა და პროფესიის წარმომადგენელთა მოხალისეებით. ჯგუფმა შეასრულა რამდენიმე ფუნქცია – პრიორიტეტების დოკუმენტის ჩამოყალიბება სატრანსპორტო საკითხებზე (ფასი, სუბსიდიები, მოსაკრებლები, ავტობუსების შესყიდვა და ა. შ.) (ურუშაძე, 2016).

რუმინეთში საბჭოს ფუნქციონირებისას გამოიკვეთა გამგეობების მხრიდან ანგარიშვალდებულების პრობლემა. შესაძლოა გამგეობამ მოსახლეობის ინფორმირებულობა უზრუნველყოს, დააინტერესოს მოქალაქე საბჭოს საქმიანობით, მიიღოს საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობა, თუმცა არ გაითვალისწინოს რეკომენდაციები. ამის მიზეზი ძირითადად ჩართული სხვა აქტორების „სიძლიერეა“. რუმინეთის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რიგ შემთხვევებში შეიძლება პრობლემები შეიქმნას, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ისე სხვა „ძლიერი“ აქტორების არსებობამ. ამდენად, მნიშვნელოვანია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც გაუმკლავდება სხვა აქტორებს და შეძლებს საკუთარი ინიციატივების პოლიტიკურ დღის წესრიგამდე მიტანას.

საქართველოში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის ზრდის, ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია ქალაქი თეთრი წყაროს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. მუნიციპალიტეტი საკუთარ ვებ-საიტზე მუდმივად

ანახლებს ინფორმაციას საბჭოს საქმიანობის, შეხვედრებისა და ინიციატივების შესახებ. ამასგარდა, თეთრი წყაროში საბჭოს მუშაობის შედეგად, გამოიკვეთა დაპირისპირებული აქტორები: კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო სექტორთან ერთად, კერძო სექტორის წინააღმდეგ. საბჭოს მუშაობის შედეგად, გამოიკვეთა კონკრეტული ინიციატივები და მოხდა თეთრი წყაროში სარეკრეაზიო ზონის რეაბილიტაცია, ხელოვნური წყალსატევისა და მის გარშემო დასასვენებელი ზონის მოწყობა. ქ. თეთრი წყაროში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეხვედრები იყო ღია, საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ, როგორც მოქალაქეები, ისე არასამთავრობო სექტორისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, არქიტექტორები და ექსპერტები (მწვანე კავკასია, 2018).

თეთრი წყაროში მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის ზრდისთვის მუნიციპალიტეტი მექანიზმის ინტენსიურ დანერგვას უწყობს ხელს. მთავარი კომპონენტი სწორედ საინფორმაციო შეხვედრებია, რომელსაც მუნიციპალიტეტი ხშირად ატარებს და საჯარო განხილვებზე, როგორც გამგეობაში, ისე სოფლებში ჩადის. (მწვანე კავკასია, 2018)

როგორია მთლიანი სურათი საქართველოში? - ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით, საქართველოს მასშტაბით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ საკუთარი ინიციატივით წარმოდგენილი რეკომენდაციების/ინიციატივების რაოდენობა 10 %-ია. საბჭოს შემადგენლობა მხოლოდ 54%, საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა მხოლოდ 14% - ით ხდება (ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, 2017). ინდექსი რამდენიმე კრიტერიუმისგან შედგება, რომელიც შეისწავლის ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობას. ეს კრიტერიუმებია საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება.


ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებში არსებული საბჭოები ფიქტიური და უფუნქციოა, მას გამგებელი/მერი საკუთარი შეხედულებისამებრ აკომპლექტებს, ხოლო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამგებლისთვის/მერისთვის მიწოდება და მათზე რეაგირების პროცედურა გაწერილი არ არის, ისევე, როგორც არაა გათვალისწინებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა დასწრება

(თვითმმართველობებში მოქალაქეთა მონაწილეობის გასაზრდელად რეკომენდაციები შემუშავდა, 2018).


ამდენად, საინტერესოა, ქალაქ თბილისის გამგეობებში არსებული სიტუაცია, რომელიც გაანალიზდება ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის შესაბამისი კრიტერიუმების მეშვეობით. წინამდებარე კვლევაში შეფასების კრიტერიუმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შესაბამისად, წარმოდგენილია საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება. სამართლებრივად სამოქალაქო საბჭოს ფუნქციონირება სავალდებულოა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, შემუშავებული ინიციატივები, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. ამდენად, შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორი იქნება არის, თუ არა საბჭო დანერგილი გამგეობებში, ხდება კი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ საკუთარი ინიციატივით წარმოდგენილი რეკომენდაციების/ინიციატივების კონსულტაცია / გათვალისწინება / რეაგირების პროცედურები გამგეობების მხრიდან ; ხდება თუ არა მრჩეველთა საბჭოსთვის გამგებლის მიერ განსახილველად სავალდებულო საკითხების/დოკუმენტების წარდგენა ან საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა. ამასთანავე, საინტერესოა, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ საკუთარი ინიციატივით წარმოდგენილი რეკომენდაციების/ინიციატივების შინაარსობრივი მხარე და გამგეობების ანგარიშვალდებულება.

ქალაქ თბილისში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების შესახებ გამგეობების კვლევა არ ჩატარებულა. მნიშვნელოვანია ქალაქ თბილისში მცხოვრები მოქალაქეების მიერ ქალაქდაგეგმარებაში ჩართულობის მთლიანი სურათის, არსებული პრობლემების, წარმატებული, თუ წარუმატებელი მაგალითების დასანახად ქალაქ თბილისის ათივე გამგეობის საბჭოების კვლევა.


თავი III. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკის ანალიზი ქ.  
თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში - 2016-2018 წლები  
დიაგრამა.1



დიაგრამა.2




დიაგრამა.3



10 გამგეობიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, მხოლოდ 6 მათგანშია წარმოდგენილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება და წევრთა რაოდენობა. ეს გამგეობებია : ვაკე , გლდანის, ისანის, კრწანისის, მთაწმინდა, საბურთალო, დიდუბე. ინფორმაციის საფუძველზე, საბჭოს წევრთა და წევრებს შორის სხვადასხვა აქტორთა რაოდენობა გამგეობებში შემდეგნაირია : საბურთალოს რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში სულ 21 წევრი, აქედან მოქალაქეები 10, კერძო სექტორის წარმომადგენელი 2, მედიის 2 წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაციის 2 და 5 ექსპერტი.


ვაკის რაიონის გამგეობაში,სადაც სმს-წევრთა რაოდენობა ჯამში 18-ია, მოქალაქეთა რიცხვი ყველაზე მეტ 11 ადამიანს შეადგენს, კერძო სექტორი - 3 ; არასამთავრობო სექტორი -2 ; ექსპერტები - 2 წევრი. განსხვავებულია ამ მხრივ სიტუაცია გლდანის რაიონის გამგეობაში,სადაც წარმოდგენილია მხოლოდ მოქალაქეების, კერძო სექტორისა და ექსპერტის ჯგუფი.აქედან, მოქალაქეთა რიცხვია 10, კერძო სექტორის - 4 წევრი და 1 ექსპერტი. ისანის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების ოქმში წერია,რომ საბჭოში სულ 15 წევრი იქნება, აქედან 6 ისანის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები, კერძო სექტორის 3 წარმომადგენელი, მედიის 1

წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაციიდან 3 წარმომადგენელი და 2 ექსპერტი.




სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში განსხვავებულ აქტორულ ჯგუფთა მრავალფეროვნება შეინიშნება კრწანისის რაიონის გამგეობაში. გამგეობია სმს წევრებიდან, როგორც გრაფიკზე ვხედავთ 9 მოქალაქეა, კერძო სექტორის 2 წარმომადგენელი და არასამთავრობო, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის თითო წარმომადგენელი. მოქალაქეებს შორის ეთნიკური უმცირესობის 3 წარმომადგენელია, რომლებმაც გამგეობამდე სხვა ეთნიკური უმცირესობების პრობლემები მიიტანეს და ერთი შშმ პირი, რომელმაც რამდენიმე ინფრასტრუქტურული ინიციატივა შეიმუშავა.

## საინფორმაციო ღონისძიებები სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ გამგეობებში




- საჯარო საინფორმაციო შეხვედრები
- ტელევიზია
- საინფორმაციო ბუკლეტები
- ონლაინ მედია
- სოციალური ქსელი
- გამგეობის ვებ-საიტი

## სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ გამგეობების მხრიდან ყველაზე ხშირად გამოყენებადი საკომუნიკაციო საშუალებები მოქალაქეებთან



## გამგეობების მხრიდან დასახელებული მიზეზები სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შესახებ



### ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობა

საბურთალოს რაიონში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ დებულება 2015 წლის 19 აპრილს იქნა მიღებული (ბრძანება N475). ვინაიდან კვლევაში წარმოდგენილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკის ანალიზი 2016 წლიდან 2018 წლის ივნისის თვემდე, საბჭოს საქმიანობის ოქმების გამოთხოვა სწორედ 2016 წლიდან მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა გამგეობებთან შედარებით, საბურთალოს რაიონის გამგეობამ წარმოადგინა, როგორც საბჭოს შეხვედრების ოქმები, ისე საბჭოს შექმნის შესახებ დებულებაც.

საბურთალოს რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის პირველი სხდომის ოქმი 15 მარტით თარიღდება. საერთო ჯამში 2015 წლის 29 აპრილიდან 2016 წლის 15 მარტამდე საბჭომ 3 სხდომა ჩაატარა. 2016 წლის 15 მარტიდან 2018 წლის ივნისამდე საბჭო 16-ჯერ შეიკრიბა.

საბურთალოს რაიონის გამგეობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებაში განსაზღვრულია საბჭოს წევრთა რაოდენობაც, რომელიც მინიმუმ 11 ადამიანით არის განსაზღვრული. 2016 წლის 15 მარტის სხდომაზე კი წარმოდგენილია საბჭოს 21 წევრო. 21

წევრიდან, 10 წარმოადგენს საბურთალოს რაიონის ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებს. მოქალაქეების არჩევა, საბჭოს დებულების საფუძველზე ხდება, ამ მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი 50 მოქალაქის ხელმოწერით (მოქალაქეები უნდა ცხოვრობდნენ საბურთალოს რაიონის ტერიტორიულ ერთეულში) და სამოტივაციო წერილით. საბურთალოს რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები 10 მოქალაქესთან ერთად არიან, კერძო სექტორის წარმომადგენლები - 2 ადამიანი, ოქმებში არ არის დასახელებული, ის თუ რომელი კომპანიების წარმომადგენლები არიან ისინი. კერძო სექტორის გარდა, საბჭოში წარმოდგენილია 2 ჟურნალისტი და 2 საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი. ამასთანავე, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში წარმოდგენილია გამგებლის მიერ მოწვეული 5 პირი, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა დარგის ექსპერტებს და კონსულტაციებს უწევენ საბჭოს წევრებს სხდომების ჩატარების პროცესში ამათუიმ საკითზე დისკუსიისას.

ამ დროისთვის ბოლო სხდომა საბურთალოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩატარებული აქვს 2017 წლის 3 თებერვალს. საბჭოს სხდომა არ ჩატარებულა თითქმის 1 წელიწადზე მეტია, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ კოდექსში განსაზღვრულია, რომ საბჭო უნდა შეიკრიბოს არანაკლებ 3 თვეში ერთხელ (საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 04/08/2015). 2017 წელს ფორმირებულ, თუმცა არასრული შემადგენლობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან საბურთალოს რაიონის გამგებელმა, გაიოზ ვასაძემ 2018 წლის 30 მაისს შეხვედრა გამართა, სადაც წარმოადგინა გამგეობის ანგარიში.

1 წლის განმავლობაში (2016 წლის 15 მარტიდან 2017 წლის 3 თებერვლამდე), როგორც უკვე აღინიშნა საბჭომ 16 სხდომა ჩაატარა. როგორც სხდომების ოქმებიდან ჩანს საბჭოს შეხვედრებზე განიხილებოდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, გარემოსდაცვითი, კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივების განხილვა. 16 სხდომის ოქმიდან 14 სხდომაზე მოქალაქეების მხრიდან წარმოდგენილი იყო ინიციატივები საბურთალოს სხვადასხვა ქუჩაზე გამწვანების შესახებ, კერძოდ, საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე ნერგების დარგვის შესახებ ; ასევე გოთუას სახელობის სკვერის რეაბილიტაცია და ახალი

სკვერების დაარსების შესახებ. როგორც სხდომის ოქმებში ჩანს, მოქალაქეების ინიციატივებს ნარგავებისა და სკვერების დაარსების შესახებ მხარს უზღავს კერძო სექტორის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი, რომელიც მზად არის გოთუას სკვერის რეაბილიტაციაში გარკვეული თანხა გადაიხადოს.

2016 წლის 29 მარტის (სხდომის ოქმი N5) ოქმი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მოქალაქეებმა გამოხატეს სურვილი მოხდეს მათი დატრენინგება არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, რათა უფრო უკეთ ჩაერთონ საბჭოს საქმიანობაში. აღნიშნულ სხდომაზე გამოითქვა სურვილი, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეხვედრებში მოხდეს კერძო სექტორის უფრო მეტი წარმომადგენლის ჩართვა. 2016 წლის 29 მარტის სხდომის ოქმში ასევე ხაზგასმულია ის, რომ გამგეობამ ნერგების დარგვის შესახებ ინიციატივას მხარი დაუჭირა და დარგვის ღონისძიებები რამდენიმე ეტაპად გატარდებოდა.

2016 წლის 12 აპრილის (სხდომის ოქმი N6) საბჭოს შეხვედრაზე გამოითქვა პროტესტი უკანონო მშენებლობების შესახებ, რომლის შეწყვეტასაც მხარი საბჭოს 21 წევრიდან მხოლოდ 13-მა დაუჭირა მხარი. 13 წევრიდან 10 მოქალაქე, 2 მედიის წარმომადგენელი და 1 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია. ინიციატივისთვის მხარი არდაუჭერია კერძო სექტორის ორ წარმომადგენელს და გამგებლის მიერ მხარდაჭერილ 5 წევრს. რეკომენდაცია უკანონო მშენებლობის შეწყვეტის შესახებ, რომელიც გამგეობას წარედგინა გამგებლის მხრიდან არ იქნა მხარდაჭერილი. რაც გამგებლის მხრიდან (როგორც შემდეგ ოქმში ირკვევა) განმარტებულია მშენებლობის კანონიერებითა და საბჭოს შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა გამგებლის მიერ ოფიციალური დოკუმენტაცია. მიუხედავად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა, საბჭოს წევრებმა კიდევ 8 შეხვედრაზე გაიტანეს მშენებლობის შეწყვეტის შესახებ ინიციატივა, თუმცა არცერთხელ გამგებლის მხრიდან ინიციატივა არ აღსრულებულა.

2016 წლის 10 მაისის (სხდომის ოქმი N8) შეხვედრა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან

შემუშავდა ერთობლივი ინიციატივა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიების ინფრასტრუქტურული მოწყობის, ნაგვის გატანისა და გამწვანების შესახებ.

საბურთალოს რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი მოქალაქეები ასევე აქტიურად გამოთქვამენ სურვილს საბჭოს საქმიანობის სრულყოფაში. რაც გამოიხატება იმაში, რომ 10 მაისის შეხვედრაზე, მათ საბჭოს 6 წევრის შეცვლა მოითხოვეს, რომლებიც ბოლო რამდენიმე შეხვედრას არ ესწრებოდნენ და გამგეობის მხრიდან ამ 6 წევრის დროულ ჩანაცვლებას დაუჭირეს მხარი.

საბჭოს წევრებისგან ჩანს ინიციატივები კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარების შესახებ. მაგალითად, საბჭოს 2016 წლის 7 ივლისის (სხდომის ოქმი N10) შეხვედრაზე გამოითქვა სურვილი ვაჟა აზარაშვილის და ომარ კელაპტრიშვილის ხსოვნის საღამოების ჩატარების შესახებ. მსგავსი ინიციატივების რაოდენობა, კიდევ ორჯერ არის დაფიქსირებული 16 სხდომიდან. კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივების ჩატარებას ერთობლივად საბჭოს ყველა წევრი უჭერს მხარს.

საბურთალოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სხდომის თავმჯდომარე გიორგი გოხელაშვილი. რომელიც საბჭოს მიერ ინიცირებული საკითხებიდან გამგეობების მხრიდან უკვე გატარებულ ღონისძიებებს აცნობს საბჭოს წევრებს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ გამგებლის მიერ მხარდაჭერილი საბჭოს 5 წევრი ყველა შეხვედრაზე მიუთითებს საბჭოს წევრებს წარმოადგინონ შემდეგი შეხვედრებისთვის პრიორიტეტულ პრობლემურ საკითხთა ნუსხა, რაც უჩვენებს საბჭოს წევრების სურვილს გახდეს საბჭოს საქმიანობა მეტად ეფექტიანი.

საბჭოს სხდომის N13 ოქმის საფუძველზე, ჩანს რომ გამგეობამ მოისმინა ნუცუბიძის 24-26 ნომერში მცხოვრები მოსახლეობის პროტესტის მიზეზები. ამ ქუჩის მცხოვრებლები სანიაღვრე სისტემის გამართვას მოითხოვდნენ, რაც მაშინ დაზიანდა, როცა ქუჩაზე მშენებლობა დაიწყო. პრობლემის მოსაგვარებლად მოქალაქეების ინიციატივა გამზადდა, სადაც სანიაღვრე სისტემის გამართულობაზე კეთდებოდა აქცენტი, თუმცა საბჭოს სხვა წევრებმა კომისიის შექმნა მოითხოვეს, რომელიც უკეთ გაარკვევდა ამ

ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების პროტესტის შინაარსს. შესაბამისად, ინიციატივა შეიცვალა კომისიად.

2017 წლის 26 აგვისტოს (N15) სხდომაზე გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ საბჭოს წევრებთან ერთად 2017 წლის ბიუჯეტის განხილვა მოაწყო. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ განხილვას საბჭოს წევრებთან ერთად საბურთალოს რაიონის სხვა მცხოვრებლებიც ესწრებოდნენ.

საბურთალოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის მნიშვნელოვანი მონაპოვარია საბურთალოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დაფუძნება (2017 წლის 26 დეკემბერი, სხდომის ოქმი N17). ამხანაგობის მიზანი საბურთალოს რაიონის მთელს ტერიტორიაზე მოსახლეობის პრობლემების მოსმენა და მათი საბჭომდე მოტანაა.

კიდევ ერთ სხდომაზეა დაფიქსირებული ასევე მოქალაქეების მხრიდან საბჭოს საქმიანობის ინტენსივობისა და გაუმჯობესების სურვილი, რაც გამოიხატა საბჭოს წევრების მიერ შემუშავებული ინიციატივების მეტად დაკონკრეტებაში 2017 წლის 26 იანვარი, სხდომის ოქმი N18).

გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, ბოლო სხდომის 2017 წლის 3 ებერვლის ოქმიდან ჩანს, რომ ნუცუბიძის ქუჩის მცხოვრებლების პრობლემების მოგვარება გამგეობამ დაფუძნებული კომისიის მეშვეობით უკვე დაიწყო. ამ სხდომაზე გამოიკვეთა მოქალაქეების ახალი ინიციატივები გზების, ბუნებრივი აირისა და წყლის მიღების გაუმჯობესების შესახებ.

საბურთალოს რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხვა გამგეობების საბჭოებისგან განსხვავებით, ასევე აქვს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც როგორც საბჭოს საქმიანობის დინამიკას, ისე გამგეობის ანგარიშვალდებულებას აკვირდება.

საბურთალოს რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების სხდომის ოქმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბჭოში წარმოდგენილია რამდენიმე აქტორი, ეს აქტორები არიან მოქალაქეები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვადასხვა ექსპერტები და მედიის წარმომადგენლები. ოქმების

ანალიზში ჩანს, რომ მედიის წარმომადგენლების მხრიდან თითქმის არ ხდება პრობლემების დასმა და ინიციატივების შემუშავება. ყველაზე მეტი აქტიურობით გამოირჩევა სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც მეტი წილი კონფლიქტი აქვს კერძო სექტორთან, რომელიც წარმოდგენილ ინიციატივებს ან არ უჭერს მხარს, ან მოითხოვს კომისიების შექმნას (ნუცუბიძის ქუჩის მცხოვრებლების მაგალითზე), რაც წევრების მხრიდან აღქმულია, როგორც პროცესის გაწელვა. ამის მიზეზი, ამ ქუჩაზე დაწყებული კერძო კომპანიის წარმომადგენლის წევრობაა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, როგორც გამოიკვეთა, ისინი მეტი წილად მხარს უჭერენ მოქალაქეების ინიციატივებს.

საბჭოს საქმიანობისას ძირითადად გვაქვს შემდეგი ტიპის ქალაქდაგეგმარების ინიციატივები : გამწვანების ,ინფრასტრუქტურული, კულტურულ-საგანმანათლებლო და პროტესტი მშენებლობებთან დაკავშირებით. აქედან, 2016 წლიდან 2018 წლამდე, 16 სხდომაზე გამწვანების შესახებ ინიციატივების რაოდენობა წარმოდგენილი იყო 14 სხდომაზე, ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ 10 სხდომაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარების შესახებ 3 სხდომაზე და პროტესტი მშენებლობებთან დაკავშირებით 9 სხდომაზე.

გამგეობების მხრიდან, როგორც სხდომის ოქმებშია წარმოდგენილი, აღნიშნული ქალაქდაგეგმარების ინიციატივებიდან, სულ 17, საიდანაც გათვალისწინებული იქნა 1 წლის განმავლობაში გამწვანების ღონისძიებები (სულ 4) , გოთუას სკვერის რეაბილიტაცია, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები (2), გზების რეაბილიტაცია (2) და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების (4) გატარება.

შესაბამისად, მოქალაქეთა ჩართულობა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის გამოყენებით ეფექტურია საბურთალოს რაიონში, ვინაიდან წარმოდგენილი 17 ქალაქდაგეგმარებითი ინიციატივიდან, გამგეობის მხრიდან შესრულებული იქნა 12.

საბჭოს მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოქალაქეები საბჭოს შექმნის პირველ ეტაპზე უკმაყოფილოები არიან მუშაობის პროცესით და გამოხატავენ ტრენინგების ჩატარების,

წევრებისგან მაქსიმალური ჩართულობის, პრობლემების ნუსხის ჩამოწერისაკენ და მათი კონკრეტიკისკენ. გარკვეული დაპირისპირებები ჩანს მოქალაქეებსა და კერძო სექტორს შორის, ეს დაპირისპირებები ნეიტრალურად წყდება (ნუცუბიძის ქუჩის პროტესტის შემთხვევაში კომისიის შექმნით). გამგეობას საბჭოს მიერ შემუშავებული ინიციატივებიდან არ მიუღია მშენებლობების შეწყვეტის შესახებ ინიციატივა.

სხდომის ოქმების ანალიზის გარდა, თითო ელექტრონული კითხვარი გადაგზავნილი იქნა საბურთალოს გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან და გამგეობის აპარატში.

საბურთალოს რაიონის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლის კითხვარის მიზანი ეხებოდა, საბჭოს შესახებ მოქალაქეების ინფორმირებულობას. რესპოდენტის თქმით, მოსახლეობის ინფორმირებულობისთვის საბურთალოს რაიონული გამგეობა წელიწადში რამდენიმე აქტივობას სთავაზობს რაიონის მოსახლეობას, რომ ჩაერთონ საბჭოს საქმიანობაში. საბჭოს საქმიანობაში ჩართვა არ გულისხმობს მხოლოდ საბჭოს უშუალოდ წევრობას, ინფორმირებულობის მიზანია საბჭოს საჯარო განხილვებზე დასწრებაც. ძირითადი საკომუნიკაციო საშუალებებად სახელდება ფეისბუქი, სადაც ინფორმაცია იდება, როგორც საბურთალოს რაიონის გამგეობის ფეისბუქ ფეიჯზე, ისე საბურთალოს სამოქალაქო საბჭოს ფეისბუქ ფეიჯზეც.

კითხვაზე იყო თუ არა დაინტერესება მოქალაქეების მხრიდან სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში გაწევრიანების შესახებ, რესპოდენტი წერს, რომ საბჭოს საჯარო განხილვებს ესწრებოდა წევრების გარდა, 50-ზე მეტი ადამიანი და ეს რიცხვი სხვადასხვა საჯარო განხილვების დროს ვარირებდა 30 -დან 50-მდე.

კითხვაზე, თუ რომელი საკომუნიკაციო საშუალება იქნება ყველაზე ეფექტური მოსახლეობისთვის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად? რესპოდენტი კვლავ სოციალურ ქსელებს ასახელებს, თუმცა მედია საშუალებებით საბჭოს ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ მიაჩნია.

საბურთალოს რაიონის გამგეობის აპარატში გადაგზავნილი ელექტრონული კითხვარის მიზანი, საბჭოს მიერ წარმოდგენილი ინიციატივების დაბლოკვის მიზეზების ახსნას ეხებოდა. გამგეობის აპარატის წარმომადგენელი „კონკრეტული ინიციატივების არ გატარების მიზეზად გამგეობის ბიუჯეტში არსებულ მცირე თანხებს ასახელებს. კითხვაზე, თუ რამ შეიძლება იქონიოს ზეგავლენა მოქალაქეთა ინტერესზე, ჩაერთონ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობაში საბურთალოს გამგეობაში მიაჩნიათ, რომ ამის მიზეზი გამგეობასთან კომუნიკაციის არხების გაუმჯობესება და საბჭოს საქმიანობის მიმართ ნდობაა. კითხვაზე არსებობს თუ არა მკაფიო პოლიტიკა სამოქალაქო ინიციატივებთან დაკავშირებით კერძო ან არასამთავრობო სექტორთან, საბურთალოს რაიონის გამგეობა წერს, რომ არ არსებობს.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ საბურთალოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთან. წევრი საბურთალოს რაიონში მცხოვრები, 35 წლის ქალბატონია, განათლებით ინჟინერი. რომელსაც წარსულში აქვს რაიონში დაგეგმილი ან უკვე განხორციელებული პროექტის განხილვაში/ საჯარო განხილვაში მონაწილეობა მიღებული. მან საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ფეისბუქის მეშვეობით გაიგო და დაანონსებულ საჯარო შეხვედრაზე მეზობლებთან ერთად მივიდა. როგორც საბჭოს წევრი ამბობს, საჯარო განხილვა საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციული იყო. საბჭოს მუშაობის დადებით მხარეებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ საბჭოსა და გამგებელს/გამგეობას შორის კომუნიკაცია „საკმაოდ მეგობრულია“, მათ აქვთ ხშირი შეხვედრები, გამგებელი აცნობს ასევე ინფორმაციას საბჭოს წევრებს იმის შესახებ, თუ რატომ იქნა ან არ იქნა გათვალისწინებული მათი ინიციატივები. საბჭოს წევრი მნიშვნელოვან ხარვეზად მიიჩნევს საბჭოში წევრების არდასწრების საკითხს, იგი ასევე გამოთქვამს სურვილს, რომ საბჭოს საჯარო შეხვედრებს უფრო მეტი ადამიანი დაესწროს. მისთვის ასევე მთავარ პრობლემას წარმოადგენს შეზღუდული ფინანსები და ამბობს, რომ კარგი იქნებოდა საბჭომ წინასწარ, ბიუჯეტის დაგეგმვამდე წარმოადგინოს, მომავალი წლის ქალაქდაგეგმარებითი ინიციატივები, რათა ბიუჯეტში მოხდეს მათი გათვალისწინება.

#### ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობა

ვაკის რაიონის გამგეობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებისა და სხდომის ოქმების შესახებ გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე ჩანს, რომ ვაკის რაიონში 2016 წლიდან 2018 წლის ივნისამდე მხოლოდ სამჯერ ჩატარდა საბჭოს სხდომა. გამოთხოვილ ინფორმაციაში არ არის წარმოდგენილი სამოქალაქო საბჭოს შექმნის ბრძანება და დებულება. შესაბამისად, არ გვაქვს ინფორმაცია საბჭოს წევრთა რაოდენობის შესახებ, თუმცა სხდომის ოქმებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როგორი იყო წევრთა მონაწილეობის დონე.

საბურთალოს რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსგან განსხვავებით, ვაკის რაიონის სმს (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო) -ს სხდომებს 18 წევრზე მეტი ადამიანი არ ესწრება. ყველაზე დაბალი დასწრება 11 ადამიანია.

2016 წლის 28 იანვრის საბჭოს სხდომის ოქმში არ ჩანს დამსწრე 17 ადამიანიდან, რამდენია მოქალაქე და რამდენი სხვა სექტორის წარმომადგენელი. თუმცა, ჩანს მოქალაქეების ქალაქდაგეგმარებითი ინიციატივები, რომლებიც ეხება მარშალ გელოვანის სახელობის სკვერში მდებარე პოსტამეტზე დაზიანებული წარწერის შეცვლას, ასევე, სკვერისთვის მოსე მდინარამის სახელის მინიჭებას, ავტობუსის ხაზების დამატებას ნუცუბიძისა და ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე და უჩანეიშვილის ქუჩისა და ჩიხების დამისამართებას, ასევე წყნეთის ქუჩაზე კანალიზაციის მილის შეკეთებას. როგორც ოქმებიდან ჩანს, ვაკის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მოქალაქეების ინიციატივების უმეტესობა შეეხება ინფრასტრუქტურულ ინიციატივებს. აღნიშნულ სხდომაში მოქალაქეების მხრიდან გამოითქვა სურვილი ასევე წყნეთის ტერიტორიაზე წმინდა ნინოს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის აშენების შესახებ.

უნდა ითქვას, რომ ვაკის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების სხდომის ოქმებში ჩანს, წინა სხდომაზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციების გამგეობების მხრიდან გათვალისწინება/არ გათვალისწინების საკითხიც. როგორც 2016 წლის 18 მარტის

სხდომაზე ჩანს მოსე მდინარაპის სახელის სკვერისთვის მინიჭების საკითხი გამგეობამ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან გამგეობას კანონი არ აძლევს საშუალებას სახელი მიანიჭოს სკვერს,რომელიც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაა.

გამგებელმა ანგარიშში წარმოადგინა ისიც,რომ წყნეთის ქუჩაზე კანალიზაციის ახალი მილი ჩაიდგა, რაზეც წევრების მხრიდან კრიტიკული შეფასებები მოჰყვა, წევრების თქმით, პრობლემა ნაწილობრივ არის მოგვარებული და საკითხი კვლავ უნდა დადგეს დღის წესრიგში.

ვაკის რაიონის სმს მუშაობაში ჩანს კერძოსა და სამოქალაქო საზოგადოების კოლაბორაციის მაგალითი, რაც გამოიხატა წყნეთის ქუჩაზე საკანალიზაციო მილისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების მხარდაჭერაში.

ვაკის სმს , საბურთალოს საბჭოს მსგავსად მექანიზმის დახვეწის სურვილს გამოთქვამს, რაც გამოიხატა წევრების მხრიდან თემატური ჯგუფების შექმნაში. თემატური ჯგუფები,სადაც როგორც კერძო, ისე სამოქალაქო სექტორის წევრები გაწევრიანდებიან და კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებენ.

აღნიშნულ სხდომაზე დაისვა სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა : მაგალითად, ნუცუბიძის მე-5 მ/რ-ში აყრილი ბორდიურების გასწორების საკითხი, ზოგიერთ ტერიტორიაზე დაყრილი ბეტონის ფილების აღების შესახებ, ასევე დაზიანებული გზის საფარის შესახებ. სულ ასეთი ინიციატივების რიცხვი არის 8.

რაც შეეხება, აღნიშნულ სხდომაზე გარემოსდაცვით ინიციატივებს, მოქალაქეებმა გამგეობას წარუდგინეს რეკომენდაცია,რომელშიც დაისვა საკითხი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის უკან ყოფილი გერმანელების სასაფლაოს ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის შესახებ,რომელიც გააუქმებს მწვანე ზოლს (გამწვანება). ასევე პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე ახალის სკვერის აგების შესახებ.

სხდომებზე ასევე განხილულია მშენებლობების შესახებ მოსახლეობის პროტესტის შინაარსი და შემუშავდა ინიციატივები კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობების შეჩერების შესახებ.

ბოლო სხდომის ოქმი თარიღდება 2017 წლის 24 აგვისტოთი, რომელსაც მხოლოდ 11 ადამიანი ესწრება. სხდომაზე განხილულია მხოლოდ 2018 წლის ბიუჯეტი და არ არის აღნიშნული მოქალაქეების ახალი ინიციატივების ან ძველი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

ვაკის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მოქალაქეების ჩართულობა ქალაქდაგეგმარებაში ამ მექანიზმის მეშვეობით, ძირითადად გამოიხატა ინფრასტრუქტურული ინიციატივების შეტანით გამგეობაში, სულ - 15 პროექტი, რომელთაგანაც სხდომების ოქმების საფუძველზე გამგეობების მხრიდან გათვალისწინებული იქნა, მხოლოდ 8. შესაძლოა, სხვა პროექტები დროთაგანმავლობაში განხორციელდა, თუმცა გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაში მათ შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს.

დაფიქსირდა გარემოსდაცვითი ინიციატივები ვაკის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მოქალაქეების მხრიდან, რაც ძირითადად გამოხატული იყო სკვერების აშენებითა და კონკრეტულ ტერიტორიებზე მშენებლობების შედეგად განადგურებული მწვანე საფარის აღდგენაში. ასეთი ინიციატივების რაოდენობა არის 4.

საბურთალოს სმს-ს მსგავსად, ვაკის სმს-ს წევრები უკანონო მშენებლობების აღკვეთაზე მიანიშნებენ, თუმცა ზემოთაღნიშნულ ტერიტორიებზე არ არის შეჩერებული მშენებლობები და ამ დროისთვის ისინი დასრულებულიც კია.

საბჭოს მუშაობა სხდომის ოქმში დეტალურად არის გაწერილი, სხდომებზე არამხოლოდ ინიციატივების მოსმენის პროცედურებია აღწერილი, არამედ გამგებლის მხრიდან კომენტარები ამ ინიციატივებზე და შესაძლო პროცედურები, რომლებიც უახლოეს დღეებში იგეგმება. საბჭოს მუშაობას ასევე ამარტივებს რვა თემატური ჯგუფი, რომელიც დამოუკიდებლად წარადგენს ინიციატივების პაკეტს.

ვაკის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმების გარდა, ელექტრონული კითხვარი გადაგზავნილი იქნა გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელთან. როგორც კითხვარის პასუხებიდან ირკვევა, ვაკის რაიონის გამგეობის ძირითადი საკომუნიკაციო საშუალება ვაკის რაიონის მოსახლეობასთან არის ონლაინ მედია საშუალებები და ფეისბუქი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ მხოლოდ ერთხელ მოეწყო საჯარო შეხვედრა, სადაც მოქალაქეებმა საბჭოს არსებობის შესახებ ინფორმაცია მიიღეს. რესპოდენტი კითხვაზე იყო თუ არა დაინტერესება მოქალაქეებში საბჭოში გაწევრიანების შესახებ წერს, რომ იყო, თუმცა არ ასახელებს რაში გამოიხატებოდა ეს დაინტერესება. კითხვაზე, თუ რომელი საკომუნიკაციო საშუალება იქნება ყველაზე ეფექტური მოსახლეობისთვის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, რესპოდენტი ფიქრობს, რომ ონლაინ მედია-საშუალებები საუკეთესო ინფორმაციის მიწოდების წყაროა მოქალაქეებამდე.

ელექტრონული კითხვარი ასევე იქნა გადაგზავნილი ვაკის რაიონის გამგეობის აპარატში. თუმცა კითხვარი პასუხებით უკან არ დაბრუნებია. შესაბამისად, არ გვაქვს ინფორმაცია იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც არ განხორციელდა ზოგიერთი რეკომენდაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვაკის სმს-ს სხდომის ოქმებში ჩანს კონკრეტული ინიციატივების განხორციელება/არ განხორციელების მიზეზები და მათი უმეტესობა მწირე ბიუჯეტსა და შესაბამის კანონმდებლობას უკავშირდებოდა.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ ვაკის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთან. საბჭოს წევრი 28 წლის მამაკაცია, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ ინფორმაცია ფეისბუქის მეშვეობით გაიგო, დაესწრო საჯარო განხილვას და საბჭოს არცერთი სხდომა არ გამოუტოვებია. ფიქრობს, რომ საბჭო დახვეწის ეტაპზეა და დროის გასვლის შემდეგ უფრო გაუმჯობესდება. მთავარ პრობლემად კერძო და სახელმწიფო სექტორის მჭიდრო კავშირს ასახელებს. რესპოდენტი წერს, რომ მწირე ბიუჯეტის ფარგლებში, გამგეობა იძულებულია კერძო სექტორის ინიციატივები გაატაროს ან დაბლოკოს მოქალაქეების ის ინიციატივები, რომლებიც კერძო სექტორის მუშაობას აფერხებს.

რესპოდენტის თქმით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ყველაზე უკეთ ინფრასტრუქტურული პროექტების გატარების თვალსაზრისით მუშაობს, ვინაიდან მოქალაქეებს, რომლებიც საბჭოს წევრები არიან აქვთ ინფორმაცია რაიონის სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ.

#### ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისანის რაიონის გამგეობა

ისანის რაიონის გამგეობიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამგეობაში არ ჩატარებულა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა. გამგეობამ წარმოადგინა 2015 წლის 22 მაისის ბრძანების საფუძველზე სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება, რომელშიც გათვალისწინებულია საბჭოს წევრთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა, ასევე სხვადასხვა დეტალები საბჭოს საქმიანობის შესახებ. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოს არცერთი სხდომა არ ჩატარებია დღემდე. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაფუძნება სავალდებულოა ნებისმიერი გამგეობისთვის. ისანის რაიონის გამგეობის მაგალითზე, ჩანს რომ საბჭო ფორმალურად არის დაარსებული და ის ფაქტობრივად არც ფუნქციონირებს. გამოთხოვილ ინფორმაციაში წარმოდგენილ დებულებაში წერია რომ საბჭოს ფუნქციონირების ვადა არის 2017 წლის 31 დეკემბერი. საგულისხმოა, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალი დებულება 2018 წელს არ შექმნილა. შესაბამისად, ამ დროისთვის ისანის რაიონში არ არსებობს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რაც ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობაა. შესაბამისად, გამგეობაში გადაგზავნილი ელექტრონული კითხვარები არ დაბრუნებულა.

#### ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობაში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა 2016 წლიდან 2018 წლამდე 5-ჯერ გაიმართა. აღსანიშნავია, რომ სხვა გამგეობებისგან განსხვავებით, გლდანის

რაიონის გამგეობის სმს-ს სხდომის ხუთივე ოქმში ფიქსირდება საბჭოს სხდომაზე გამგებლის დასწრება და მისი ანგარიში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრების მიმართ.

სხდომის ოქმებში ასევე გაწერილია ყველა ის ინიციატივები, რომლებიც როგორც სამოქალაქო, ისე კერძო სექტორის მხრიდან იქნა წარმოდგენილი. კვლევისთვის გამოიყო ურბანული დაგეგმარების ინიციატივები. 2016 წლის 22 თებერვლის პირველ სხდომაზე, გამგებელმა ბესიკ ქარცივაძემ, საბჭოს წევრებს გააცნო საბჭოს დებულება, ბრძანება, გამგეობის ბიუჯეტი. საბჭოს სხდომაზე ძირითადად გზების დაგებისა და რაიონის ინფრასტრუქტურული დაგეგმარების მხრივ არსებული პრობლემების შესახებ დაისვა საკითხები. სულ რაოდენობა არ არის დაკონკრეტებული.

როგორც ოქმებიდან ირკვევა, 2016 წლის 31 მარტის მეორე სხდომის ოქმში, გლდანის რაიონის გამგებელი, ბესიკ ქარცივაძე გლდანის რაიონში პრობლემებისა და საჭიროებების კვლევის მიმართულების კურატორს და მოქალაქეების ზრუნვისა და მომსახურების მიმართულების კურატორთან ერთად აგრძელებს საბჭოს მუშაობას. რაც პირველ რიგში, ხელს უწყობს საბჭოს წევრ მოქალაქეებსა და სხვადასხვა აქტორების დაახლოებას გამგეობის წევრებთან. ორმხრივ კომუნიკაციას. ოქმში ჩანს, რომ ინიციატივებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა ექსპერტებმა მოქალაქეების რეკომენდაციები ჩამოაყალიბეს და კურატორებს წარუდგინეს. საბჭოს სხდომას ესწრება 11 ადამიანი, რაც გამგებლისა და კურატორების მხრიდან შეფასებულია, როგორც „მცირე დასწრება“ და მოუწოდებენ საბჭოს წევრებს აქტიური დასწრებისკენ და ფეისბუქ გვერდზე, აანონსებენ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალ საჯარო სხდომას, სადაც განიხილავენ გლდანში ახალი საბავშვო ბაღების აშენებას და რამდენიმე სტადიონის კეთილმოწყობას.

2017 წლის 2 აგვისტოს სხდომის ოქმში წარმოდგენილია ბესიკ ქარცივაძის მხრიდან ანგარიში, სადაც ჩანს რომ წინა სხდომაზე განხილული ინიციატივები და რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა და გამგეობის მხრიდან ახალი ბაღების მშენებლობების (სულ 2) და 3 ახალი სტადიონის კეთილმოწყობის ბრძანება გაიცა.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი შედარებით სხვა რაიონის გამგეობებთან, გლდანის რაიონის გამგეობაში გამჭირვალეა, ყველა ის პირი, ვინც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ესწრება საბჭოს სხდომებს, სვამს კითხვებს და აზუსტებს რეკომენდაციების კონკრეტულ ნაწილს. ოქმებში არ არის გამოკვეთილი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტორები, ისინი მხარს უჭერენ სამოქალაქო ინიციატივებს, თუმცა ჩანს კერძო სექტორი, რომელსაც არ აქვს კონფლიქტური სიტუაცია სამოქალაქო სექტორთან და შეხვედრაზე, გამგებელს 2 ერთობლივ პროექტს სთავაზობს : 1ლი პროექტის მიხედვით, უნდა აშენდეს საცხოვრებელი სახლი დიდი სკვერით და მეორე პროექტში, კერძო კომპანია დამოუკიდებლად სთავაზობს გამგებელს გამწვანების აქციაში მონაწილეობის მიღებას.

2018 წლის 14 თებერვლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმში ახალი წევრების მიღება ხდება. რუმინეთის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მაგალითზე, შეგვიძლია ვთქვათ რომ ყოველწლიურად ახალი წევრების განახლების პროცესი შესაძლოა პოზიტიურად შეფასდეს, ვინაიდან ახალი ნაკადი, ახალი იდეებით იწყებს ქალაქდაგეგმარების პროცესებში მონაწილეობას. ბესიკ ქარცივაძე, კერძო სექტორის წარმომადგენლებს ახალი წევრების მიღების პროცესში გააქტიურებისკენ მოუწოდებს.

ინფრასტრუქტურული პროექტები და ზებრა გადასასვლელები, ახალი წევრების ახალ ინიციატივათა რიცხვს მიეკუთვნება. 2018 წლის 2 აპრილის სხდომის ოქმით, მოქალაქეების ინიციატივას ზებრა გადასასვლელების შესახებ, კერძო სექტორი ეთანხმება და სთავაზობს გამგეობას თანამშრომლობას ზებრა გადასასვლელების დახატვის და საინფორმაციო კამპანიის წარმოების შესახებ. 2018 წლის 2 აპრილის სხდომაზე ჩაინიშნა ახალი სხდომის თარიღი, რომელიც ივლისის თვის ბოლოს არის დაგეგმილი.

გლდანის რაიონის გამგეობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში არსებული სხდომების ანალიზის საფუძველზე გამიკვეთა 10-მდე ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ მოქალაქეების ინიციატივას. ამ პროექტებიდან 4 მხარდაჭერილი იქნა კერძო სექტორის

მხრიდან და 9 გატარებული იქნა გამგეობის მხრიდან. 1 პროექტი, რომელიც გულისხმობდა შიდა ეზოებში გზების დაგებას წლის ბოლოსთვის გადაიდო.

გლდანის გამგეობის სმს-ს წევრთა რაოდენობა სხვა სმს-ების წევრებთან შედარებით სამჯერ მეტია, ამასთანავე, როგორც ვაკის რაიონის სმს-ში, გლდანშიც წევრებმა შიდა ჯგუფები შექმნეს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო 61 წევრისგან შედგება, რომლებიც გლდანის რაიონის ოთხი ტერიტორიული ერთეულიდან არიან წარმოდგენილი. როგორც დებულებაშია ნათქვამი, საბჭოს შეხვედრები გლდანის რაიონის გამგეობაში სამ თვეში ერთხელ, ტერიტორიულ ერთეულში კი, თვეში ერთხელ გაიმართება.

ელექტრონული კითხვარის პასუხების ანალიზის საფუძველზე, რომელიც გადაგზავნილი იქნა გლდანის რაიონის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, გლდანის გამგეობამ 2016, 2017 და 2018 წლების დასაწყისში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინფორმაციის ასამაღლებლად სამი სხვადასხვაგვარი კამპანია წამოიწყო. კამპანიების შესახებ, როგორც ტელევიზიით, ისე ონლაინ მედია საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია. ამასთანავე, ონლაინ მედია საბჭოს ხუთივე შეხვედრის შესახებ ავრცელებდა ინფორმაციას, რაც უწყობდა ხელს, თითოეულ საჯარო შეხვედრაზე მოქალაქეთა მეტი რაოდენობის წარმომადგენლობას. გამგეობაში ფიქრობენ, რომ ყველაზე ეფექტური საკომუნიკაციო საშუალება საზოგადოებასთან არის ონლაინ მედია და საჯარო განხილვები. ამასთანავე, როგორც საჯარო განხილვებზე დამსწრე ადამიანების რაოდენობა ამტკიცებს, ინტერესი ყველა შეხვედრას შორის იზრდებოდა. შეხვედრებს შორის შუალედებში გამგეობა ფეისბუქის მეშვეობით აწვდიდა გლდანის რაიონის მოსახლეობას საბჭოებზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციას და ისმენდა აზრს ფეისბუქზე კომენტარებით.

გამგეობის აპარატში თვლიან, რომ შეხვედრიდან შეხვედრამდე საბჭოს წევრების მატებისა და მოქალაქეების დასწრების რაოდენობა შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებამ გამოიწვია. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი მოქალაქეების მიერ წარდგენილი პეტიციების საჯარო განხილვა გლდანის რაიონულ გამგეობაში 3 თვეში ერთხელ იმართება.

როგორც კითხვარში რესპოდენტი აღნიშნავს, მოქალაქეებისა და კერძო სექტორის, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან გამგეობას თანაბარი კომუნიკაცია აქვს და მათთან არა ცალ-ცალკე, არამედ ერთობლივი საჯარო განხილვების პირობებში მიაღწია სწორედ ანგარიშვალდებულების იმ შედეგს, როგორც სხვა გამგეობის პირობებში ან არ არის/ ან ნაკლებია. კერძო და სამოქალაქო სექტორის ინიციატივების გათვალისწინებით გამგეობამ 4 ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა.

სიღრმისეული ინტერვიუ გლდანის 2018 წლის სმს-ს ახალ წევრთან ჩატარდა. წევრი 41 წლის ქალბატონია, პროფესიით ისტორიის მასწავლებელი. მას არასდროს მიუღია გამგეობის საჯარო განხილვებში მონაწილეობა. მისი თქმით, ამის მიზეზი არსებული მექანიზმების უნდობლობა იყო, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ, როგორც ტელევიზიით, ისე საჯარო შეხვედრითა და წევრი - მეზობლის ნაამბობით შეიტყო. როგორც აღნიშნავს რესპოდენტი, დაინახა რეალური ცვლილებების გატარების შესაძლებლობა და ჩაერთო საბჭოს საქმიანობაში.


კერძო სექტორთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, როგორც საბჭოს წევრი აღნიშნავს, პრობლემები და კონფლიქტური სიტუაციები 2 სხდომის ფარგლებში არ შექმნილა, „იყო ერთობლივი პროექტების განხორციელების ინიციატივები,“ - ამბობს საბჭოს წევრი.

#### ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა

კრწანისის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები 2016 წლიდან 2018 წლის ივნისისამდე 6-ჯერ გაიმართა. აქედან ყველა მათგანი 2016 წელს. 2017-2018 წლებში საბჭოს სხდომები არ გამართულა. როგორც გამოთხოვილი სხდომების ოქმებიდან ჩანს კომუნიკაცია სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს შორის აქტიურად მიმდინარეობს.

კრწანისის რაიონის გამგეობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ერთადერთია, სადაც საბჭოს წევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია და საბჭოს წევრთა რაოდენობას ეთნიკური რელიგიური უმცირესობის წევრები შეადგენენ (3). საბჭოს შექმნის შესახებ ბრძნება 2016 წლის 1ლ აპრილს შევიდა ძალაში. საბჭოს წევრთა რაოდენობა სულ 13-ია.

როგორც გამგეობის აპარატში გადაგზავნილი ელექტრონული კითხვარის პასუხიდან ირკვევა, გამგეობაში ფიქრობენ, რომ რაც უფრო ნაკლებია საბჭოს წევრთა რაოდენობა მით უფრო აქტიურია, ვინაიდან გამგეობის კომისიამ 13 აქტიური ადამიანი მიიღო საბჭოს წევრად და „იმედოვნებს მათ აქტიურ დასწრებას და ინიციატივებს“. საბჭოში არასამთავრობო ორგანიზაციის ორი წარმომადგენელი, ორი იურისტი და 1 ურბანისტია. ამასთანავე, ორი შპს.ს დირექტორები. საბჭოს მეორე სხდომა 21 აპრილს გაიმართა, სადაც გამგებელმა გამგეობის საზოგადოებრივი საბჭოების ფორმირების მართვისა და ანალიზის ჯგუფის მთავარ სპეციალისტს დააკისრა პასუხისმგებლობა, რომ დაესწროს საბჭოს სხდომებს და ჰქონდეს პირდაპირი კომუნიკაცია მოქალაქეებთან.



აღნიშნულ სხდომაზე დაიგეგმა საჯარო შეხვედრა საბჭოს წევრებს, გამგეობასა და მოქალაქეებს შორის, სადაც წარმოდგენილი იყო 7 პროექტის განხილვა. კრწანისის რაიონის გამგეობამ 7-ივე პროექტისთვის გამოყო თანხა და 2016 წლის 19 მაისის სმს-ს სხდომაზე წარადგინა ანგარიში, თუ რა ეტაპზე იყო ამ პროექტების განხორციელების პროცესი. პროექტები შეეხება ძირითადად ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარებას : თბილისი- რუსთავი ავტობანის გზის რეკონსტრუქციას, სარემონტო სამუშაოებს სადარბაზოებში, განათებებს, დაზიანებული სახლების შეკეთებებს.

სმს-ს სხდომების ოქმებში ასევე ხაზგასმულია, რომ მოქალაქეებმა ამ რეკომენდაციების შემუშავებაში კონსულტაცია გაიარეს, როგორც წევრ იურისტთან, ისე წევრ ურბანისტთან.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ინტეგრირებული ბილიკების შექმნის ინიციატივას მხარი დაუჭირა კერძო სექტორმა და შეთავაზა თანამშრომლობა გამგეობას. ამასთანავე, ინიციატივებს შორის იყო გარემოსდაცვითი ინიციატივებიც, რაც გამგეობის მხრიდან მხარდაჭერილი იქნა და ზემო ფონიჭალაში 500 ძირი კედარი და კიპაროსი დაირგა. აშენდა სკვერი და საბავშვო ბაღის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.

კრწანისის რაიონის სმს ოქმები, სხვა გამეობების ოქმებისგან განსხვავებით დეტალურად აღწერს, როგორც ინიციატივების შემუშავების პროცესს, ისემათ რეკომენდაციებად ჩამოყალიბებას, ერთობლივ მონაწილეობას კერძო, საჯარო, არასამთავრობო სექტორსა და მოქალაქეებს შორის და შემდგომ ანგარიშვალდებულების ეტაპებს.

2016 წლის 30 ივნისის სმს სხდომა საინტერესა იმ თვალსაზრისით, რომ წევრებს საჯარო განხილვაზე სხვა მოქალაქეებიც შეუერთდნენ, სულ 63 ადამიანი. საჯარო განხილვაზე ისაუბრეს ქუჩების დანომრისა და მწოლიარე პოლიციის განთავსების შესახებ. ასევე მოითხოვეს ასფალტის დაგება, ავარიული კორპუსების გამაგრება. საბავშვო სკვერების რეაბილიტაცია.

2016 წლის 24 თებერვლის სხდომა (N6) ბოლო სხდომაა, თუმცა საკმაოდ ინფორმაციული, რაც გულისხმობს იმას, რომ სხდომაზე შემდგომი 1 წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტების რაოდენობაა გაწერილი. წევრების მიერ ინიცირებული 9 პროექტიდან 9-ვეს განხორციელების შესახებ გასცა ბრძანება გამგებელმა. რაც სხვა გამგეობებთან შედარებით, მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

გამგეობა აშენებსა ტრაქციონებს 7 ქუჩაზე, ასფალტს აგებს 7 ქუჩაზე, გამაგრებებს აწარმოებს 7 კორპუსზე, ავარიულ სადარბაზოს 1 კორპუსში, კიბეებს აწყობს 1 ქუჩაზე, მოაჯირეებს 2 ქუჩაზე, სკვერს 3 ქუჩაზე, ქვაფენილს 8 ქუჩაზე და საბავშვო ბაღების სკვერების რეაბილიტაციას ჯამში 31 ქუჩაზე. აღნიშნულ სხდომაზე გამგებელი მაღლობას

უხდის წევრებს, რომ მათ მიაწოდეს ამ ქუჩებზე არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია. გამგებლის აპარატში ელექტრონული კითხვარის პასუხებიდან ირკვევა, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გამგეობაში აღიქვავენ, როგორც ფინანსური თვალსაზრისითაც, მომგებიან „დამხმარე მექანიზმს“, რომელიც კვლევების, ადგილზე მოსახლეობის საჭიროებების გაგების გარეშე, დეტალურ ინფორმაციას იძლევა წევრი მოქალაქეებისგან, რომელთაც აქვთ კონტაქტები და რომლებმაც უკეთ იციან მოსახლეობის საჭიროებები.

კრწანისის რაიონში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ 2016 წელს რამდენჯერმე გაიმართა საჯარო განხილვა და მედიის მეშვეობით გაჟღერდა. გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ფიქრობენ, რომ საკომუნიკაციო საშუალებებს შორის ტელევიზია ყველაზე ეფექტურია. 2017 წელს საბჭოს ფუნქციონირების შეწყვეტისა და ახალი წევრების მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. ასევე, სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 2016 წლის სმს საბჭოს წევრთან, რომელიც არის დროებით უმუშევარი 31 წლის ქალბატონი. ის აქტიურად მონაწილეობდა წარსულშიც საჯარო განხილვებში და რამდენჯერმე განცხადებით მიუმართავს გამგეობისთვის, თუმცა რაიმე შედეგი არ მოჰყოლია მის განცხადებას. ამდენად, როგორც ინტერვიუში აღნიშნავს, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც ეფექტური მექანიზმის შესახებ ნდობა არ ჰქონდა, თუმცა როგორც რესპოდენტი ამბობს 2016 წელს მხოლოდ მის მიერ ინიცირებული 5 რეკომენდაციიდან გამგეობამ 3 გაითვალისწინა. ოჯახური პირობების გამო საბჭოს წევრობა ვეღარ გააგრძელა.

საბჭოს საქმიანობის ხარვეზზე საუბრისას მოქალაქე აღნიშნავს, რომ კარგი იქნებოდა გამგეობის მხრიდან მეტი მოტივაცია ჰქონოდა კერძო სექტორს, რათა ჩართულიყო აქტიურად საბჭოს საქმიანობაში. კერძო სექტორთან კომუნიკაციას მოქალაქე განიხილავს ფინანსური თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას, რომ უფრო მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდეს რაიონში.

#### ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა

დიდუბის რაიონის გამგეობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების ჩართულობა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმში არ გამოხატულა ქალაქდაგეგმარებითი ინიციატივებით. გამოთხოვილი ოქმების საფუძველზე ჩანს, რომ მოქალაქეების ინიციატივები ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების შემუშავებას ეხება. 4 სხდომიდან 4-ვეზე განხილულია კულტურული ღონისძიებების დაგეგმვის ინიციატივები, მხოლოდ ერთხელ დადგა დღის წესრიგში პანდუსების შემოღების საკითხი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება 2016 წლის 24 თებერვალს შეიქმნა. საბჭოს 14 წევრი ჰყავდა, მათ შორის იურისტი, ინჟინერი, სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი, ურბანისი, პოლიციელი, ენერგეტიკოსი. მსგავსი მრავალფეროვანი გამოცდილებისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი წევრებისგან არ წამოსულა ინიციატივები ქალაქდაგეგმარების შესახებ : კერძოდ, ინფრასტრუქტურული ინიციატივები, ან გარემოსდაცვითი ინიციატივები. არ ჩანს კერძო სექტორის ჩართულობაც. როგორც უკვე აღინიშნა, ოქმებში ძირითადად, საუბარია შაბათობების მოწყობაზე, სხვადასხვა კულტურული სადამოს ჩატარების შესახებ დაფინანსების მოთხოვნაზე. 2016 წლის 6 იანვრის სხდომის ოქმში საუბარია თბილისობის დღესასწაულზე დიდუბის რაიონში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. 2016 წლის 30 სექტემბერს მე-3 სხდომა გაიმართა, სადაც საუბარი იყო პანდუსების შექმნაზე. გამგეობამ პანდუსებთან დაკავშირებით ინიციატივა განახორციელა 4 ქუჩაზე. ბოლო სხდომა 2017 წლის 5 იანვრით თარიღდება. სხდომაზე წარმოდგენილი იქნა საქველმოქმედო ინიციატივები.

საბჭოს სხდომის ოქმებში ჩანს, რომ მოქალაქეთა ინიციატივები კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია. არ ჩანს რა სახის კომუნიკაციაა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორს შორის. გამგეობაში გადაგზავნილ ელექტრონული კითხვარზე პასუხი არ მოსულა. ასევე გამგეობაში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა არ გამართულა წელიწადნახევარია. გამგეობა არ ავრცელებს ძველი სამოქალაქო საბჭოს წევრების საკონტაქტო ინფორმაციას.

#### ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა

მთაწმინდის რაიონის გამგეობამ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანება და დებულება 2016 წლის 1ლ თებერვალს წარადგინა. საბჭოს 1ლი სხდომაც სწორედ ამ დღეს გაიმართა. საბჭო დაკომპლექტდა 13 წევრით, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრებისგან ისე 2 კერძო სექტორის წარმომადგენლისგან და 3 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლისგან. საბჭოს ჰყავს პროფესიით 1 ურბანისტი და 1 იურისტი წევრი, რომლებთან ერთადაც მოქალაქეებმა კონსულტაციის გავლის შემდეგ გარკვეული ინიციატივები შეიტანეს.

მთაწმინდის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჯამში 2016 წლიდან 2018 წლის ივნისამდე მხოლოდ 4 სხდომა აქვს ჩატარებული, ისიც ყველა მათგანი 2016 წელს. ახალი საბჭო არ დამტკიცებულა 2017 წელს და არც 2018 წლის ივნისამდე. ჯამში 4 სხდომის ფარგლებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ შეტანილი ინიციატივებიდან (სულ 10), 7 მათგანი არის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარების ინიციატივები, დანარჩენი 1 კულტურული სადამოს ჩატარების და ორი გამწვანების აქციის შესახებ. საბჭოს მიერ გათვალისწინებული იქნა 6 მათგანი. 2016 წლის 13 მაისის (სხდომის ოქმი N2) საფუძველზე მოქალაქეებმა ურბანისტთან კონსულტაციის შემდეგ მოითხოვეს მთაწმინდის ძელი უბნების ქუჩების ფოტო-პანორამული გაშლა, ასევე მოითხოვეს თავისუფალი სივრცე რეკრეაციული ზონის შექმნისთვის. მათ გააპროტესტეს მშენებლობების მომრავლება მთაწმინდის რაიონში, პროტესტი მიემართებოდა საბჭოს ერთ-ერთ წევრთან, რომელიც ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი იყო. კონფლიქტი გამგებლის მოხსენებით დასრულდა, რომელმაც განაცხადა, რომ მშენებლობა კანონის ფარგლებში მიმდინარეობდა და მისი შეჩერების არანაირი სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა. სხდომაზე ასევე მოქალაქეების მხრიდან გამოითქვა ინიციატივა გამაგრებულიყო ზოგიერთი სახლი მთაწმინდის რაიონში.

მესამე სხდომა 2016 წლის 17 აგვისტოს გაიმართა, სადაც გამგებელმა ანგარიში წარმოადგინა, მათ შორის წინა სხდომაზე დასმული საკითხებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ. გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია ჭონქაძისა და

ჭავჭავაძის I ჩიხი 1 ლის გამაგრებითი-აღდგენითი სამუშაოების დაწყების შესახებ. ასევე გამოითქვა ინიციატივა აღმართებზე მოსასვენებელი სკამების დამაგრების შესახებ.

ბოლო სხდომა 2016 წლის 18 ნოემბრით თარიღდება. სხდომაზე გამგებელმა წარმოადგინა ანგარიში, რომლის თანახმადაც, რაიონში გაიცა ორი სკვერის აშენების ბრძანება და სტადიონის რეაბილიტაციის პროცესი.

ელექტრონული კითხვარის პასუხების თანახმად, რომელიც გაიგზავნა გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, გამგეობის მხრიდან მოსახლეობის ინფორმირებულობა 2016 წელს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ იანვრის პერიოდში საინფორმაციო კამპანიით დაიწყო. რაც გულისხმობდა ამ რაიონში საინფორმაციო ბუკლეტების დარიგებას. ასევე დაიგზავნა პრესრელიზები ონლაინ მედია გამოცემებთან და მოეწყო 1 საჯარო შეხვედრა. გამგეობის აპარატის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მოლოდინი იყო ჩართულიყო არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი რაოდენობა საბჭოს საქმიანობაში, თუმცა ინტერესი არ გამოუხატავთ. რაც შეეხება მოქალაქეებს, საჯარო განხილვებზე მოქალაქეთა რაოდენობა, გამგეობის წარმომადგენლის შეფასებით იყო „საშუალო“. განუხორციელებელი პროექტების მიზეზად წარმომადგენელი გამგეობაში არსებულ მწირე ფინანსებს ასახელებს.

საბჭოს წევრი 54 წლის დიასახლისი, განათლებით ფიზიკოსი, ქალბატონი სიღმრისეულ ინტერვიუში ამბობს, რომ წარსულში მუდმივად იღებდა გამგეობის საჯარო განხილვებში მონაწილეობას. მისი ძირითადი ინიციატივები ეხება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების შემუშავებას. ფიქრობს, რომ ტელევიზია მნიშვნელოვანი საშუალებაა გამგეობების მხრიდან კომუნიკაციისთვის. საბჭოს მთავარ ხარვეზად ასახელებს გამგეობის მხრიდან მის არმოწვევას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭო 2016 წლის 18 ნოემბრის შემდეგ აღარ მოწვეულა.


### ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის, სამგორის, ნაძალადევის რაიონის გამგეობები

ჩუღურეთის, სამგორისა და ნაძალადევის რაიონების გამგეობების გაერთიანება განპირობებულია იმ მიზეზით, რომ ამ რაიონებში დღეის მდგომარეობით არ შექმნილა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები.


ჩუღურეთის რაიონის მიერ გამოგზავნილი წერილში ნათქვამია, რომ საბჭო ფუნქციონირებდა ოფიციალურად 2018 წლის 22 თებერვლამდე, თუმცა საბჭოს სხდომის ოქმები, ისანის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მაგალითზე, არ ჩატარებულა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილში წერია, რომ „გამგეობას არ აქვს შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, შესაბამისად, სამგორის რაიონის გამგეობა მოკლებულია შესაძლებლობას წარმოგიდგინოთ აღნიშნული ინფორმაცია“ (დანართი 1). წერილში არ არის მითითებული, რატომ არ არის შექმნილი ამ დრომდე სავალდებულო მექანიზმი.


ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონიდან გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად მოწერილ წერილში წერია, რომ გამგეობას არ აქვს შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო მოცემული მომენტისთვის. საბჭოს არასდროს უფუქციონირებია და გამგეობას არ მოეპოვება მისი შექმნისა და საქმიანობის შესახებ რაიმე დოკუმენტი. თუმცა წერილის ბოლოს აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს საბჭოს ფორმირების პროცესი (დანართი 2).




## განათლება




## რესპოდენტების (სულ 165) საცხოვრებელი რაიონი



## გსმენიათ თუ არა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ ?




## საიდან გაქვთ ინფორმაცია საბჭოს მექანიზმის შესახებ ?



165 გამოკითხულიდან საბჭოს შესახებ ინფორმაციას ფლობს 72 ადამიანი (44%)

- 1) სოციალური ქსელი
- 2) გამგეობის საიტი
- 3) მედია
- 4) საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც დაორგანიზებული იყო გამგეობის მხრიდან
- 5) საინფორმაციო ბუკლეტი
- 6) სხვა

იცით თუ არა, ვინ არის თქვენი რაიონის  
გამგებელი



## დასკვნა

### რეკომენდაციები

გამგეობებმა პირველ რიგში, უნდა ჩაატარონ საინფორმაციო ღონისძიებები, რათა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იცოდნენ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ. ასევე უნდა განაახლონ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა და ვებგვერდზე შექმნან საჯარო ინფორმაციის განყოფილება, სადაც თემატურად განთავსდება შესაბამისი საჯარო ინფორმაცია. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში, აქტიურად უნდა გაგრძელდეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკაში ინტენსიური დანერგვა, ასევე უნდა გაიზარდოს როგორც არჩეული მერის, ისე საკრებულოს წევრთა ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების მიმართ. მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებადი საინფორმაციო არხების საშუალებით, საზოგადოებას მუდმივად უნდა აწვდიდნენ კარგად ჩამოყალიბებულ ინფორმაციას არსებული გამოწვევების, ალტერნატივების, მიღწევების, დაგეგმილი თუ მიმდინარე პროექტების შესახებ.

## გამოყენებული ლიტერატურა :

- Asian Development Bank. (2015). საჯარო-კერძო პარტნიორობის სახელმძღვანელო. 4. Получено из <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/178028/public-private-partnership-ka.pdf>
- Baltic Urban Lab. (12 December 2016 რ.). *Public-private-people partnership - a new approach for urban planning*. Получено из <https://www.ubc-sustainable.net/news/public-private-people-partnership-new-approach-urban-planning>
- Brody, D. G., & Burby, R. (2003). Mandating citizen participation in plan making: six strategic planning choices. *Journal of the American Planning Association*, Vol. 69 , p 245 (20).
- Burby, R. (2003). Making Plans that Matter: Citizen Involvement and Government Action,. *Journal of the American Planning Association*, Vol. 69, 33–49.
- Creighton, J. L. (2005). *The Public Participation Handbook- Making better decisions through citizen involvement*. San Francisco. Получено из <https://smartnet.niua.org/sites/default/files/resources/Public%20Participation%20Handbook.pdf>
- Douay, N. (2017). Editorial - Urban Planning in China Concepts, Actors, and Projects. *www.researchgate.net*. Получено из [https://www.researchgate.net/publication/315757545\\_Editorial\\_-\\_Urban\\_Planning\\_in\\_China\\_Concepts\\_Actors\\_and\\_Projects?enrichId=rgreq-9d7abf6ceb1f7afbb5f1a137f4b1293d-XXX&enrichSource=Y292ZXJQYWdlOzMxNTc1NzU0NTtBUzo0NzkwODgyODk4MTY1NzZAMTQ5MTIzNDk1NzEONQ%3D%](https://www.researchgate.net/publication/315757545_Editorial_-_Urban_Planning_in_China_Concepts_Actors_and_Projects?enrichId=rgreq-9d7abf6ceb1f7afbb5f1a137f4b1293d-XXX&enrichSource=Y292ZXJQYWdlOzMxNTc1NzU0NTtBUzo0NzkwODgyODk4MTY1NzZAMTQ5MTIzNDk1NzEONQ%3D%3D)
- Gustafson, P., & Hertting, N. (2016). Understanding participatory governance : an analysis of participants motives for participation . *American Review of Public Administration*, 1-17.
- Hansen, E. I., & Sandkjær, G. (8 september 2011 რ.). Participation in planning; a study of urban development in Norway. *The European Journal of Spatial Development is published by Nordregio, Nordic Centre for Spatial Development and OTB Research Institute, Delft University of Technology* , стр. 4.
- Heurkens, E. (2009 ). Changing public and private roles in urban area development in the Netherlands . *The 4th International Conference of the International Forum on Urbanism (IFoU)* .
- Horelli, L. (2013). *New Approaches to Urban Planning - Insights from Participatory Communities*. Aalto University publication series, Helsinki, Finland. Получено из <https://aaltodoc.aalto.fi/bitstream/handle/123456789/10244/isbn9789526051918.pdf>
- Julie Nelson and David Kerr. ( 2006 ). Active citizenship in INCA countries: definitions, policies, practices and outcomes . *Qualifications and curriculum Authority National Foundation for Education research* , pp 24-26, pp 32-35.
- Kalbro, T., Lindgren, E., & Paulsson, J. (2015). *Urban development plans and permits :Challenges for governance structures in urban and regional Development*.
- Kaur, G. (2007). Failure Success and Failure – A big Question Mark when the community is ignored. PARTICIPATORY APPROACH / COMMUNITY INVOLVEMENT IN PLANNING /. *43rd ISOCARP Congress 2007*.

- Kedogo, J., Sandholz, S., & Hamhaber, J. (2010). Good urban governance in Nairobi and Recife . *46th ISOCARP Congress* .
- Kohon, J. N. (2015). Building Social Sustainability from the Ground Up: The Contested Social Dimension of Sustainability in Neighborhood-Scale Urban Regeneration in Portland, Copenhagen, and Nagoya. *Jacklyn Nicole Kohon*. Получено из [https://pdxscholar.library.pdx.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.ge/&httpsredir=1&article=3332&context=open\\_access\\_etds](https://pdxscholar.library.pdx.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.ge/&httpsredir=1&article=3332&context=open_access_etds)
- Kuronen, M., Junnila, S., Majamaa, W., & Niiranen, I. (2010). Public-private-people partnership as a way to reduce carbon dioxide emissions from residential development. *International Journal of Strategic Property Management*, 14 , 200-216.
- LOWE, J. S. (2008 ). A Participatory Planning Approach to Enhancing a Historically Black University–Community Partnership: The Case of the e-City Initiative / Planning, Practice & Research . <https://staging.community-wealth.org/sites/clone.community-wealth.org/files/downloads/article-lowewe.pdf>, pp. 549–558,.
- Margvelashvili, K. (2016). ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. *Civic Engagement in Public Administration* .
- Miraftab, f. (2014).
- Ng, S. T., Li, T. H., & Wong, & J. (2012). projects, Title Rethinking public participation in infrastructure. *homas Telford (ICE Publishing)*. *The Journal's web site is located at* <http://www.icevirtuallibrary.com/content/serial/muen>. Получено из <http://hub.hku.hk/handle/10722/159430> T
- Nour, A. M. (February 2011 r.). Challenges and Advantages of Community Participation as an Approach for Sustainable Urban Development in Egypt . (p. b. Education, Ред.) [www.ccsenet.org/jsd](http://www.ccsenet.org/jsd) , стр. 79-85.
- Özlem Özer-Kemppainen, H.-L. H. (2010). Participatory Urban Planning: Best Practices (PUP) Land Use Workshop – Ideas and Policies Seminar Report. *University of Oulu, Department of Architecture, Planning and Urban Design*, стр. 5-10. Получено из <http://jultika.oulu.fi/files/isbn9789514263958.pdf>
- Palerm, J. (2000). An Empirical-Theoretical Analysis Framework for Public Participation in Environmental Impact Assessment. *Journal of Environmental Planning and Management*, 43(5), 581–600,.
- Perjo, L., Fredricsson, C., & Costa, S. O. (2016). Public Private People Partnerships in Urban Planning. *Integrated Planning and Partnership Model for Brownfield Regeneration*, 6.
- Rietbergen-McCracken, J. (2010). Participatory Development Planning. [www.civicus.org](http://www.civicus.org), 2. Retrieved from [https://www.civicus.org/documents/toolkits/PGX\\_F\\_Participatory%20Development%20Planning.pdf](https://www.civicus.org/documents/toolkits/PGX_F_Participatory%20Development%20Planning.pdf)
- Rietbergen-McCracken, J. (2015). Planning, Participatory Development. [www.civicus.org](http://www.civicus.org), стр. 3-8. Получено из [https://www.civicus.org/documents/toolkits/PGX\\_F\\_ParticipatoryPolicy%20Making.pdf](https://www.civicus.org/documents/toolkits/PGX_F_ParticipatoryPolicy%20Making.pdf)
- Robinson, D. (2002). *Job Families and Other Taxonomies*. Brighton: Institute for Employment Studies.
- Salukvadze, J., Dolidze, M., & Lozano, N. (2013). *Georgia - Urbanization review : toward an urban sector strategy Georgia's evolving urban system and its challenges*. Tbilisi. Получено из

<http://documents.worldbank.org/curated/en/282241468274759653/Georgia-Urbanization-review-toward-an-urban-sector-strategy-Georgias-evolving-urban-system-and-its-challenges>

Sehested, K. (2009). Urban Planners as Network Managers and Metagovernors. *Planning Theory & Practise*, Vol.10, No. 2, 245-263, 6-15.

Shafritz, J. M. (2004). The dictionary of public policy and administration. . Boulder, Colo: Westview Press.

Stauskis, G. (2014). Development of methods and practices of virtual reality as a tool for participatory urban planning: a case study of Vilnius City as an example for improving environmental, social and energy sustainability. <https://doi.org/10.1186/2192-0567-4-7>, 2-5.

Tickner, J. A. (2001). Democratic Participation: A Critical Element of Precautionary Public Health Decision-Making. <http://journals.sagepub.com>. Получено из <http://journals.sagepub.com/doi/10.2190/EN1T-F9A1-LV0P-BLLR>

UN. (2014). *The World Urbanization Prospects* .

United Nations. (16 may 2018 г.). *2018 Revision of World Urbanization Prospects*. Получено из [www.un.org](http://www.un.org): <https://www.un.org/development/desa/publications/2018-revision-of-world-urbanization-prospects.html>

United Nations. (16 May 2018 г.). *2018 Revision of World Urbanization Prospects*. Получено 1 ივლისი 2018 გ., из [www.un.org](http://www.un.org): <https://www.un.org/development/desa/publications/2018-revision-of-world-urbanization-prospects.html>

Webler, T. T., & Krueger, R. (2001). What is Good Public Participation Process? Five Perspectives from the Public. *Environmental Management*, Vol.27 No 3, pp. 435–450, .

Williams, D. G. (October 2007 г.). Participatory approaches for planning and construction-related assistance in settlement upgrading and expansion: The roles of tripartite actors and other stakeholders. *International Labour Office*, სტრ. 10-15.

[www.droa.ge](http://www.droa.ge). (ბ.დ.).

აბულაძე, მ. (2016). თანამონაწილეობითი დაგეგმვა ურბანულ დასახლებაში. *მწვანე კავკასია*, სტრ. 8. Получено из <http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2016/12/Participatory-planning.pdf>

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი. (2017). *საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი შეფასება*. თბილისი. Получено из [https://drive.google.com/file/d/1WBQ\\_ISu2JN\\_KrKAY28iuTst\\_bdoyrq-g/view](https://drive.google.com/file/d/1WBQ_ISu2JN_KrKAY28iuTst_bdoyrq-g/view)

გორგაძე, ნ. (2018). *აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა*. Получено из [www.academia.edu](http://www.academia.edu): [https://www.academia.edu/4235006/%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98\\_%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90\\_%E1%83%93%E1%83%90\\_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1](https://www.academia.edu/4235006/%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1)

- ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი(NDI). (12 ოქტომბერი 2015 რ.). *NDI-ის კვლევა: ცხოვრების პირობები ადგილობრივ დონეზე არ გაუმჯობესებულა*;. Получено 29 მაისი 2018 რ., из [www.ndi.org](http://www.ndi.org): <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI-August-2015-Press%20Release-Geo.pdf>
- თვითმმართველობებში მოქალაქეთა მონაწილეობის გასაზრდელად რეკომენდაციები შემუშავდა*. (18 ივნისი 2018 რ.). Получено из <http://www.osgf.ge>: [http://www.osgf.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=15&info\\_id=4926](http://www.osgf.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=15&info_id=4926)
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (27 მარტი 2015 რ.). *ღია მმართველობის ინდექსი 2015 - საქართველოს მიღწევები და გამოწვევები*. Получено 30 მაისი 2018 რ., из [www.idfi.ge](http://www.idfi.ge): <https://idfi.ge/ge/open-government-index-2015>
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (5 დეკემბერი 2017 რ.). [https://idfi.ge/ge/lsg\\_index\\_presentation](https://idfi.ge/ge/lsg_index_presentation). Получено 28 მაისი 2018 რ., из [www.idfi.ge](http://www.idfi.ge): [https://idfi.ge/ge/lsg\\_index\\_presentation](https://idfi.ge/ge/lsg_index_presentation)
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC). (2015). *საჯარო პოლიტიკის კვლევა*. თბილისი. Получено из <http://caucasusbarometer.org/ge/ti2015ge/LOCGOVTU/>
- ლოსაბერიძე, დ. (2015). *ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014*. თბილისი: ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“. Получено из [http://www.osgf.ge/files/2015/Publication/adgilobrivi\\_demokratiis\\_ganvitarebis\\_angarishi\\_1991-2014\\_\\_bolo.pdf](http://www.osgf.ge/files/2015/Publication/adgilobrivi_demokratiis_ganvitarebis_angarishi_1991-2014__bolo.pdf)
- ლოსაბერიძე, დ., კანდელაკი, კ., აბულაძე, მ., & კონჯარია, ო. (2016). *ადგილობრივი თვითმმართველობა*. თბილისი.
- მაჭარაშვილი, ნ. (15 ივნისი 2016 რ.). *ვინ ქმნის ამინდს? მოქალაქეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ პროცესებში*. Получено из [www.tabula.ge](http://www.tabula.ge): <http://www.tabula.ge/ge/story/108811-vin-qmnis-aminds-moqalaqeta-monatsileoba-sazogadoebriv-procesebshi>
- მწვანე კავკასია. (2018). *თანამონაწილეობითი დაგეგმვა ურბანულ დასახლებაში (2016)*. Получено из <http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/?p=733>
- პოლიტიკის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის პრობლემები – საქართველო*. (13 მაისი 2013 რ.). Получено из [www.eparticipationge.wordpress.com](http://www.eparticipationge.wordpress.com): <https://eparticipationge.wordpress.com/2013/05/13/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-4/>
- სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. (2015). *ადგილობრივი პოლიტიკა და პარტიები*. თბილისი. Получено из [http://www.ivote.ge/images/doc/doc/adgilobrivi%20politika\\_\\_bw.pdf](http://www.ivote.ge/images/doc/doc/adgilobrivi%20politika__bw.pdf)
- საქართველოს კონსტიტუცია. (1995). *თავი პირველი. ზოგადი დებულებები*. თბილისი. Получено 1 ივნისი 2018 რ., из <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. (2015). *საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020*. თბილისი. Получено из [http://gov.ge/files/411\\_51091\\_144895\\_427-119.08.15.pdf](http://gov.ge/files/411_51091_144895_427-119.08.15.pdf)

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ. (04/08/2015). Получено из [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2929985>

ურუშაძე, ი. (2016). *ადგილობრივ თვითმმართველობებში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო*. თბილისი: USAID : დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამა. Получено из <http://www.lsg.gov.ge/contentimage/teees.pdf>



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
**სამგორის რაიონის გამგეობა**

TBILISI MUNICIPALITY CITY HALL  
**SAMGORI DISTRICT MUNICIPALITY**



ნერილის ნომერი: 37-011817995  
თარიღი: 28/06/2018

იურიდიული საქალაქო სამსახური-საკარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საკარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ადრესატი:

ილია გელაშვილი

**ბატონო ილია,**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობაში შემოსული ნათია კეკელიძის 2018 წლის 26 ივნისის N19/01181771528-01 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობას არ აქვს შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, შესაბამისად, სამგორის რაიონის გამგეობა მოკლებულია შესაძლებლობას წარმოგიდგინოთ აღნიშნული ინფორმაცია.

**პატივისცემით,**

სამგორის რაიონის გამგეობა-საორგანიზაციო განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

გიორგი ბებიაშვილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
**ნაძალადევის რაიონის გამგეობა**  
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL  
**NADZALADEVI DISTRICT GOVERNMENT**



წერილის ნომერი: 35-01181792547  
თარიღი: 28/06/2018

იურიდიული საქალაქო სამსახური-საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ადრესატი:

ილია გელაშვილი

ბატონო ილია,

2018 წლის 26 ივნისის №19/01181771528-01 განცხადების პასუხად მოგახსენებთ რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობას არ აქვს შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო მოცემული მომენტისათვის. შესაბამისად, იგი არასოდეს ფუნქციონირებდა და არ მოგვეპოვება მისი შექმნისა და საქმიანობის რაიმე დოკუმენტი. ამ ეტაპზე მინდინარეობს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმირების პროცესი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა 2015-2017 წლებში უზრუნველყოფილი იყო გამგეობაში არსებული საზოგადოებრივი საბჭოების მართვისა და ანალიზის ჯგუფის მიერ.

პატივისცემით,

ნაძალადევის რაიონის გამგეობა-იურიდიული განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი).

მარიამი  
ღვინიაშვილი

### დანართი 3

#### ქალაქ თბილისის მოსახლეობის ინფორმირებულობის კვლევა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ

გამარჯობა! მე ვარ *ნათია კეკელიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. სამაგისტრო ნაშრომისთვის ვატარებ კვლევას, რომლის მიზანია ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის თავისებურებების შესწავლა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის პრაქტიკის ანალიზზე.

კვლევის შედეგების სანდოობა დამოკიდებულია თქვენს თანხმობაზე, მონაწილეობა მიიღოთ ამ გამოკითხვაში. კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და თქვენს მიერ გამოთქმული შეხედულებები/ მოსაზრებები კონფიდენციალური. გთხოვთ, გულწრფელად უპასუხოთ შეკითხვებს.

#### D1. დააფიქსირეთ თქვენი სქესი:

- 1) ქალი
- 2) კაცი

#### D2. დააფიქსირეთ თქვენი ასაკი

- 1) 18 წლამდე
- 2) 19 – 24
- 3) 25 – 34
- 4) 35 წლის ზემოთ

#### D3. თქვენი განათლება:

- 1) უმაღლესი
- 2) არასრული უმაღლესი
- 3) პროფესიული
- 4) სრული საშუალო
- 5) არასრული საშუალო

#### D4. თქვენი დასაქმების სფერო:

- 1) საჯარო სექტორი
- 2) კერძო სექტორი
- 3) თვითდასაქმებული
- 4) დროებით უმუშევარი

**D5. თქვენი პროფესია/საქმიანობა:**

-----  
**Q1. თბილისის რომელ რაიონს მიეკუთნება თქვენი საცხოვრებელი ადგილი (სადაც ცხოვრობთ ამჟამად)?**

საბურთალოს რაიონის გამგეობა

ვაკის რაიონის გამგეობა

ისანის რაიონის გამგეობა

მთაწმინდის რაიონის გამგეობა

ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

სამგორის რაიონის გამგეობა

ნამალაღვეის რაიონის გამგეობა

დიდუბის რაიონის გამგეობა

კრწანისის რაიონის გამგეობა

გლდანის რაიონის გამგეობა

**Q2. გსმენიათ თუ სავალდებულო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის შესახებ?**

- 1) კი
- 2) არა (*გადადით Q7 შეკითხვაზე*)

**Q3. საიდან გაქვთ ინფორმაცია საბჭოს მექანიზმის შესახებ?**

- 7) სოციალური ქსელი
- 8) გამგეობის საიტი
- 9) მედია
- 10) საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც დაორგანიზებული იყო გამგეობის მხრიდან
- 11) საინფორმაციო ბუკლეტი
- 12) სხვა

**Q4. როგორ ფიქრობთ ეფექტიანია თუ არა ეს საკომუნიკაციო საშუალებები?**

- 1) კი
- 2) არა

Q5. ისურვებდით თუ არა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობას ?

- 1) კი
- 2) არა

Q6. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებდით სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობით თქვენი ან თქვენი სამეზობლოს საჭიროებების მიტანას გამგებლამდე ?

- 1) შევძლებდი
- 2) არ მაქვს იმედი, მაგრამ მაინც ვცდიდი
- 3) ვერ შევძლებდი
- 4) სხვა პასუხი

Q7. რამდენად მნიშვნელოვანია ან უმნიშვნელო მოქალაქეების ჩართულობა ქალაქდაგეგმარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში? ( სადაც 1 ყველაზე მნიშვნელოვანია და 5 არ არის მნიშვნელოვანი)

1	2	3	4	5
---	---	---	---	---

Q8. იცით თუ არა, ვინ არის თქვენი რაიონის გამგებელი

- 1) დიახ
- 2) არა

Q9. გსურთ მეტი ინფორმაცია გამგეობის საქმიანობის თაობაზე?

- 1) დიახ
- 2) არა

Q10. იღებთ თუ არა ინფორმაციას რაიონის გამგეობის საქმიანობის შესახებ ?

- 1) დიახ
- 2) არა ( თუ არა, გადადით Q12 კითხვაზე)

Q11. იროგორ იღებთ ინფორმაციას თქვენი რაიონის გამგეობის საქმიანობის შესახებ?

მეგობრები

მეზობლები

ოჯახის წევრები

ინტერნეტი - ოფიციალური საიტი

ინტერნეტი - სხვა წყარო

მედია

სოციალური ქსელი

საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც დაორგანიზებული იყო გამგეობის მხრიდან

საინფორმაციო ბუკლეტი

**Q12. ენდობით თუ არა გამგეობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას?**

1) დიახ

2) არა

**Q13. მონაწილეობა მიგიღიათ თუ არა თქვენ რაიონში გამგეობის მიერ დაგეგმილი ან უკვე განხორციელებული პროექტის განხილვაში/ საჯარო განხილვაში ?**

1) დიახ

2) არა

თუ პასუხი დადებითია: დაასახელეთ პროექტი

---

**Q13. რა ფორმით იყავით ჩართული პროექტში?**

ჩართული ვიყავი განხილვაში

ჩართული ვიყავი პროექტის მომზადებაში

ჩართული ვიყავი პროექტის ღონისძიებებში/განხორციელებაში

**Q14. პროექტის განხორციელებისას იყო თუ არა გათვალისწინებული მოქალაქეთა/თქვენი მოსაზრებები**

1) დიახ

2) ნაწილობრივ

3) არა

**Q17. რა პრობლემას ხედავთ თქვენი უბნის ცხოვრებაში ამჟამად?**

(დაასახელეთ მინიმუმ 2 პრობლემა)

1) \_\_\_\_\_

2) \_\_\_\_\_

**Q18. თქვენი აზრით, ვინ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა?**

მოქალაქეებმა

სახელმწიფომ

მერიამ

რაიონის გამგეობამ

ბიზნესმა

არასამთავრობო ორგანიზაციებმა

დანართი 4



საერთოდ არ არის  
ეფექტური

სავსებით ეფექტურია

Q3. არსებობს თუ არა მკაფიო პოლიტიკა სამოქალაქო ინიციატივებთან დაკავშირებით?

	დიახ	არა
1. არასამთავრობო ორგანიზაციებთან	1	2
2. კერძო სექტორთან	1	2

Q4. თქვენი აზრით, რამ შეიძლება განაპირობოს მოქალაქეთა ინიციატივებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება / არ გათვალისწინების საკითხები ?

Q5. რამდენად ხშირად ხდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი მოქალაქეების მიერ წარდგენილი პეტიციების საჯარო განხილვა?

1. თვეში ერთხელ
2. სამ თვეში ერთხელ
3. წელიწადში ორჯერ
4. უფრო იშვიათად
5. არასდროს

## მოსახლეობის ინფორმირებულობის გზები სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ

კითხვარი გამგეობების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელთან

გამარჯობა! მე ვარ ნათია კეკელიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. სამაგისტრო ნაშრომისთვის ვატარებ კვლევას, რომლის მიზანია ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის თავისებურებების შესწავლა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის გამოყენების მაგალითზე.

კვლევის შედეგების სანდოობა დამოკიდებულია თქვენს თანხმობაზე, მონაწილეობა მიიღოთ ამ გამოკითხვაში. კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და თქვენს მიერ გამოთქმული შეხედულებები/ მოსაზრებები კონფიდენციალური. გთხოვთ, გულწრფელად უპასუხოთ შეკითხვებს.

N1. გამგეობა.....

D1. თანამდებობა.....

Q1. 2016-2018 წლის განმავლობაში რა ტიპის ღონისძიებები ჩატარდა თქვენს რაიონულ გამგეობაში, რაც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ მოქალაქეებს მიაწვდიდა მეტ ინფორმაციას?

1. საჯარო შეხვედრები / განხილვები
2. საინფორმაციო ბუკლეტის დარიგება
3. სხვა (ჩაწერეთ) .....
4. არ ჩატარებულა არცერთი ღონისძიება

Q2. რა ტიპის საკომუნიკაციო საშუალებები გამოიყენეთ ინფორმაციის გასავრცელებლად/მისაწოდებლად?

1. ტელევიზია



4. სატელეფონო კავშირები
5. წერილობით ( ფოსტა, ელექტრონული ფოსტა)
6. სხვა (ჩაწერეთ).....

სიდრმისეული ინტერვიუ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან

ინტერვიუს გზამკვლევი

ინტერვიუს ID.....

ინტერვიუერის სახელი.....

ინტერვიუს ენა.....

ინტერვიუს თარიღი.....

ინტერვიუს დაწყების დრო.....

ინტერვიუს დასრულების დრო .....

### შესავალი

გამარჯობა. ჩემი სახელია ნათია კეკელიძე მე ვატარებ ინტერვიუებს სამაგისტრო ნაშრომისთვის, რომელიც შეისწავლის ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის თავისებურებებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის გამოყენების მაგალითზე.

შეგროვებული ინფორმაცია დაგეგმარება არსებული ვითარების შესწავლაში.

თქვენი ანონიმურობა სრულად იქნება დაცული და თქვენი ვინაობა არ იქნება გამჟღავნებული კვლევის შედეგების წარმოდგენისას.

ჩვენი საუბრის შემდგომი ანალიზისთვის საჭირო იქნება ინტერვიუს ჩაწერა, რათა ზუსტად იქნეს დოკუმენტირებული თქვენი ყველა მოსაზრება. ხელით გაკეთებულ ჩანაწერებში ვერ მოხერხდება ისეთი სიზუსტის დაცვა, როგორც აუდიო ჩანაწერში. თანახმა ხართ, რომ ჩვიწეროთ ინტერვიუ? რაიმე კითხვა ხომ არ გაქვთ?

შეიძლება დავიწყოთ ინტერვიუ?

ძირითადი კითხვები	დამატებითი კითხვები	დამაზუსტებელი კითხვები
1.ზოგადად, როგორ აღწერდით მოქალაქეთა ჩართულობას/ რას ნიშნავს მოქალაქეთა ჩართულობა?	რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეების ჩართულობა პოლიტიკური დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში?	<ul style="list-style-type: none"> <li>○ შეგიძლიათ, უფრო ვრცლად გვიამბოთ ამის შესახებ?</li> <li>○ კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდით?</li> <li>○ შეგიძლიათ, მოიყვანოთ რაიმე მაგალითი?</li> </ul>
2. მიგიღიათ თუ არა 2017-	რაში მდგომარეობდა ამ	

<p>2018 წლებში თქვენს რაიონში გახორციელებული ან დაგეგმილი პროექტების განხილვაში/საჯარო განხილვაში მონაწილეობა?</p>	<p>პროგრამის პოლიტიკის არსი? რა კონტექსტში განხორციელდა ეს პროგრამა? რა შედეგები მოჰყვა ამ პროგრამის განხორციელებას? რაში გამოიხატებოდა თქვენი ჩართულობა? კონკრეტულად რა გააკეთეთ თქვენ?</p>	
<p>3. სახელმწიფოს ინიციატივით შეიქმნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. როგორ შეაფასებდით ამ ინიციატივას?</p>	<p>დადებითად/უარყოფითად, რატომ? რაში გამოიხატება ამ ინიციატივის დადებითი/უარყოფითი მხარეები?</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ შეგიძლიათ, უფრო ვრცლად გვიამბოთ ამის შესახებ?</li> <li>○ კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდით?</li> <li>○ შეგიძლიათ, მოიყვანოთ რაიმე მაგალითი?</li> </ul>
<p>4. როგორ მიიღეთ ინფორმაცია თქვენს რაიონულ გამგეობაში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს არსებობის შესახებ ?</p>		
<p>5. რატომ გადაწყვიტეთ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობა ?</p>	<p>რა მოლოდინი გქონდათ? რა სარგებელი მიიღეთ მრჩეველთა საბჭოს წევრობით? გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინები? რაში გამოიხატება?</p>	<p>შეგიძლიათ, მოიყვანოთ რაიმე მაგალითი?</p>
<p>6. როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტურია საბჭოს მუშაობა მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით ?</p>	<p>რაში გამოიხატება მისი ეფექტურობა? ან რა უშლის ხელს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას? რა იქნებოდა ის კონკრეტული ნაბიჯები, რაც გაზრდიდა მოქალაქეთა ჩართულობას?</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ შეგიძლიათ, უფრო ვრცლად გვიამბოთ ამის შესახებ?</li> <li>○ კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდით?</li> <li>○ შეგიძლიათ, მოიყვანოთ რაიმე მაგალითი?</li> </ul>

ძირითადი კითხვები	დამატებითი კითხვები	დამაზუსტებელი კითხვები
7. ზოგადად, როგორ შეაფასებდით სამოქალაქო საბჭოს მუშაობას?	რა ხარვეზებსა და პრობლემებს გამოყოფდით მუშაობის პროცესში?	<ul style="list-style-type: none"> <li>○ შეგიძლიათ, უფრო ვრცლად გვიამბოთ ამის შესახებ?</li> <li>○ კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდით?</li> <li>○ შეგიძლიათ, მოიყვანოთ რაიმე მაგალითი?</li> </ul>
8. როგორ შეაფასებდით გამგეობის წარმომადგენლების მხრიდან კომუნიკაციას <ul style="list-style-type: none"> <li>• საბჭოს წევრებთან</li> <li>• კერძო სექტორთან</li> <li>• არასამთავრობო სექტორთან</li> </ul>	დადებითად/უარყოფითად? რატომ? თქვენი აზრით, რა ცვლილებები, შეუწყობდა ხელს უფრო ეფექტური კომუნიკაციის არსებობას?	<ul style="list-style-type: none"> <li>○ შეგიძლიათ, უფრო ვრცლად გვიამბოთ ამის შესახებ?</li> <li>○ კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდით?</li> <li>○ შეგიძლიათ, მოიყვანოთ რაიმე მაგალითი?</li> </ul>
9. რა როლი აკისრიათ საბჭოს მუშაობის პროცესში <ul style="list-style-type: none"> <li>• არასამთავრობო ორგანიზაციებს</li> <li>• კერძო სექტორს</li> </ul>	რამდენად დამოკიდებულია არასამთავრობო ან კერძო სექტორთან მუშაობა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმატებაზე? რატომ?	<ul style="list-style-type: none"> <li>○ შეგიძლიათ, უფრო ვრცლად გვიამბოთ ამის შესახებ?</li> <li>○ კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდით?</li> <li>○ შეგიძლიათ, მოიყვანოთ რაიმე მაგალითი?</li> </ul>



დანართი 5: სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MA candidate: Natia Kekenadze

Citizens Involvement in Tbilisi Urban Planning - Analysis of Civic  
Advisory Committees Practice: 2016-2018 years

MA program of Public Administration and Public Policy

The MA Thesis is prepared to obtain Master's degree in Arts of Public Policy  
and Administration

Supervisor: Nana Macharashvili,  
Supervisor of MA program of Public Administration and Public Policy,  
Associate professor

Tbilisi, 2018